კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ დევიძე

პანთურქიზმის გავლენა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რეგიონულ უსაფრთხოებაზე

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი, 0141, საქართველო

2024

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანამანათლებლო პროგრამაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელები: **ვახტანგ მაისაია**

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

რევაზ ჯორბენაძე

ფსიქოლოგიის დოქტორი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფესორი

ოფიციალური რეცენზენტები: **მაია მანჩხაშვილი**

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, წმ. ანდრია პირველწოდებულის

ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ვლადიმერ (ნიკა) ჩიტაძე

გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო

უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2024 წლის 26 ივნისს 15.00 საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა N 73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, 305 აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: პეტრე მამრაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალურობა

პანთურქული იდეოლოგია შეიქმნა მე-19 საუკუნის ბოლოს, განვითარდა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და იქცა ოსმალეთის იმპერიის წარმმართავ იდეოლოგიად. მისი შექმნა და გაძლიერება განაპირობა ოსმალეთის იმპერიის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თავისებურებებმა.

საქართველოს და ზოგადად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს პანთურქული იდეოლოგიის თეორიის პრაქტიკული რეალიზებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აქიდან გამომდინარე იდეოლოგიის კვლევა და შესწავლა მისი შექმნის ეტაპიდან მოყოლებული, აღმავლობისა და დაღმასვლის პერიოდების ჩათვლით საინტერესოა საკითხით დაინტერესებული მკვლევრებისთვის.

წარსულის საფუძვლიანი შესწავლა საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ და გავაკეთოთ სწორი დასკვნები ამ იდეოლოგიასთან მიმართებაში, რაც თავისთავად მოგვცემს საშუალებას გავაცნობიეროთ რა საფრთხის შემცველი იყო სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის ოსმალეთის იმპერიის არსებობის ბოლო წლებში, მის ხელისუფლებაში მყოფი ,,ახალგაზრდა თურქების“ მმართველობა, რომელთათვისაც პანთურქიზმი იყო სახელმწიფო მმართველობის უმთავრესი პრინციპი.

რესპუბლიკურ პრინციპებზე დამყარებული თურქული სახელმწიფოს მშენებლობით მუსტაფა ქემალ ათათურქმა უარი თქვა იმპერიულ ამბიციებზე. ოფიციალურად უარი განაცხადა პანთურქულ პროპაგანდაზე, აკრძალა და დახურა პანთურქული ორგანიზაციები და გამოცემები. მიუხედავად ამისა პანთურქული იდეოლოგია ღიად თუ დაფარაულად, ყოველთვის არსებობდა თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ დღის წესრიგში და დღესაც განაგრძობს არსებობას ძირითადად მარგინალურ ნაციონალისტურ ორგანიზაციებში.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან თურქეთში გაჩნდა ევრაზიულობის გეოპოლიტიკური კონცეფცია, რომ თურქეთი გეოგრაფიულად არის ევრაზიის ცენტრი, მოწოდებული იმისთვის, რომ გაავრცელოს ტრანსკონტინენტური გავლენები. თურქეთი თავის თავს მიიჩნევს, როგორც ,,ღერძული ქვეყანა"- ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომელსაც შეუძლია შექმნას სტაბილური პოლიტიკური გარემო თავის საზღვრებთან. მიაჩნიათ, რომ შეიძლება იყვნენ ცენტრალური ძალა მსოფლიო პოლიტიკაშიც კი.

თანამედროვე პერიოდში თურქეთის პოლიტიკური ელიტის მცდელობა საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით გაეფართოებინა თავისი გავლენები ბალკანეთში, კავკასიასა და ზოგადად თიურქულენოვან სახელმწიფოებზე, დასავლეთის პოლიტიკური წრეების მიერ აღქმული იქნა როგორც ნეოოსმანურ პოლიტიკა. ამის მიზეზია ის, რომ ტერიტორიები, რომლებზეც სურს თურქეთს გავლენის გაფართოება, ყოფილი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი სახელმწიფოებია.

პანთურქული იდეოლოგია ყოველთვის იყო და იქნება აქტუალური თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რათქმაუნდა სახელმწიფო დონეზე არა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს შეუძლებელია მოხდეს, ნაციონალისტურ წრეებში ამ იდეოლოგიას ყოველთვის ჰყავდა და ეყოლება მიმდევარი და მისი ცხოვრებაში გატარების მსურველი.

საკვლევი პრობლემის ჩამოყალიბება

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია პანთურქიზმის, როგორც იდეოლოგიის როლი თიურქულენოვანი ხალხების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, თურქეთის იდეოლოგიური გავლენა ამ სახელმწიფოებთან მიმართებაში. გამომდინარე იქიდან, რომ იდეოლოგიის მთავარი მიზანი ყველა თიურქი ხალხის კულტურულ და პოლიტიკურ გაერთიანებას გულისხმობდა ერთიანი, თურქული სახელმწიფოს ან კონფედერაციის ფარგლებში მათი განსახლების არეებითურთ.

იდეოლოგიის გავრცელების არეალი მოიცავდა ტერიტორიას ბალკანეთიდან ვიდრე ყირიმამდე და აღმოსავლეთ ციმბირიდან დასავლეთ ჩინეთამდე.

პანთურქული იდეოლოგიის იდეა ,,საზღვრისგარე თურქებში“ - შუა აზიაში, თურანის დაბლობზე მცხოვრებ თათრობაში ჩაისახა. ადგილმდებარეობის გამო ის ,,თურანული საზოგადოების“ სახელით იხსენიება, რომლის უმთავრესი მიზანი იყო ,,დიდი თურანის“ ანუ ყველა თიურქულენოვანი ხალხის ერთიანი სახელმწიფოს შექმნა.

იმ ფონზე, როცა ოსმალეთის იმპერია მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ერთმანეთის მიყოლებით კარგავდა სამფლობელოებს და ევროპაში თითქმის აღარ დარჩა მისი ქვეშევრდომი ქვეყანა, თურანიზმის იდეა არცთუ ისე რეალურად გამოიყურებოდა.

1917 წლის ნოემბრის რევოლუციით ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლამ და ,,1918 წლის მარტში მსოფლიო ომიდან ბოლშევიკური რუსეთის გამოთიშვამ ოსმალეთს კავკასიაში ექსპანსიის მოულოდნელი შანსი მისცა და მითიური თურანის სახელმწიფოს პანთურქისტულმა იდეამ თითქოს ხორცშესხმა დაიწყო. ოსმალეთის ავანტიურისტმა ლიდერებმა ,,ახალგაზრდა თურქებმა“ ყველაზე ბრძოლისუნარიანი დივიზიები გადაისროლეს კავკასიის დასაპყრობად“.[1]

ბრესტის ზავმა საშუალება მისცა ოსმალეთის არმიას წამოეწყო საომარი მოქმედებები. ოსმალეთის არმია შეიჭრა სამხრეთ კავკასიაში. ბაქოს აღების შემდეგ სურდა თურქესტანზე გალაშქრება, მაგრამ სამხრეთ კავკასიაში მათი ინტერესების შეჯახება მოხდა მთავარ მოკავშირესთან - გერმანიასთან, რამაც აიძულა ,,ახალგაზრდა თურქების“ მთავრობა უარი ეთქვა ბრძოლის გაგრძელებაზე და ქვეყანა დაეტოვებინა. თურანიზმის იდეა განუხორციელებელი დარჩა სამუდამოდ.

,,თურანიზმი ოსმალეთის გეოპოლიტიკის უკანასკნელ აკორდად შეიძლება ჩაითვალოს. ამ იდეის მიზანი განუხორციელებელი დარჩა და

[1] გაჩეჩილაძე რ. საქართველო მსოფლიო კონტექსტში, XX და XXI საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები, თბილისი, 2017, გვ. 110

თვალმისაწვდომ მომავალში ასეთად დარჩება კიდეც. რაც შეეხება ზოგად პანთურქისტულ იდეას, რომელსაც თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლება ოფიციალურად ემიჯნება, ის დღემდე ცოცხლობს თურქეთისა და ზოგი სხვა თიურქულენოვანი სახელმწიფოს გარკვეულ, ძირითადად მარგინალურ, ნაციონალისტურ წრეებში".[2] თურქეთის რესპუბლიკის მთავრობები მუსტაფა ქემალ ათათურქის მმართველობიდან დაწყებული ოფიციალურად ყოველთვის ემიჯნებოდნენ პანთურქულ იდეებს, მაგრამ ლატენტურად ის მუდმივად არსებობდა და დღესაც აგრძელებს არსებობას.

მკვლევართა შორის ყოველთვის არსებობს განსხვავებული აზრი ,,თურქიზმის" იდეოლოგიასა და ,,დიდი თურანის" ცნებას შორის. მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ როგორც ,,თურქიზმის" იდეოლოგიას ასევე ,,დიდი თურანის" ცნებას საერთო, თურქული წარმომავლობა აქვთ. გამომდნარე იქიდან, რომ პანთურქიზმი, დიდი თურანი და პანთურანიზმი სხვადასხვა სივრცესა და რეალობაში ჩაისახა, ზოგიერთი მკვლევარის აზრით მათ საერთო წარმომავლობაზე ფიქრი მცდარია. თვლიან რომ ,,თურანიზმის" გეოგრაფიული მასშტაბები გაცილებით დიდია ვიდრე პანთურქიზმისა.[3]

თურანიზმი, რომელსაც პანთურანიზმადაც მოიხსენებენ მონღოლურ, ფინო-უნგრულ ხალხთა ერთიანობას ასახელებდა და ჩვეულებრივ სახლს ,,თურანს" უწოდებდა. ზოგჯერ თურანიზმს თურქული ნაციონალიზმის პოლიტიკას ,,ათათურქიზმსაც" უწოდებენ (თურქეთში მცხოვრები ყველა ხალხის ერთიანობას, პირველ რიგში კულტურულს). პანთურქიზმი კი უფრო ნაციონალისტური იდეოლოგიაა, რომელიც ამტკიცებს, რომ ყველა თიურქი ხალხი ერთი ერია და უნდა გაერთიანდეს ერთ დიდ, თურქულ სახელმწიფოში

---

[2] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი, გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები, ტ. I, თბილისი, 2018, გვ. 207

[3] ჩაჩხიან ა. რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ენიგმა (1920-1922) თბილისი, 2015, გვ.73

საკითხი ნამდვილად საინტერესო და წინააღმდეგობრივია. სწორი ფორმურილებისთვის ჩვენ ვეცადეთ შეგვესწავლა ოსმალეთის იმპერიის ბოლო წლებში არსებული პანისლამიზმის, ოსმანიზმის და პანთურქიზმის იდეოლოგიები. ისტორიულ-პოლიტიკურ ჭრილში გავაანალიზეთ ყველა ეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფენომენი, რომელიც ორგანულად არის დაკავშირებული ოსმალეთის იმპერიასთან. განვიხილეთ პანთურქისტების ხელისუფლებაში ყოფნის გრძელვადიანი პერსპექტივის შემთხვევაში თუ რა საფრთხეები არსებობდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებასა და პოლიტიკურ სტაბილურობაში.

მიუხედავად იმისა, რომ პანთურქიზმი დღევანდელი თურქეთის მხოლოდ მარგინალურ ნაციონალისტურ წრეებში არსებობს, დავუშვით შესაძლებლობა ოფიციალურ სახელმწიფო იდეოლოგიად გადაქცევის შემთხვევაში იქნება თუ არა იგი საფრთხე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უსაფრთხოებისთვის.

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანია შევისწავლოთ თიურქულენოვან ტერიტორიებზე პანთურქული იდეოლოგიის ჩასახვა და გენეზისი; მისი განვითარების ეტაპები; თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რომელიც დაკავშირებულია პანთურქიზმის იდეოლოგიის განხორციელებასთან თიურქულენოვან ქვეყნებში. ამასთან განვიხილოთ, გავაანალიზოთ და შევისწავლოთ პანთურქისტი იდეოლოგების პოლიტიკა და გეგმები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში.

კვლევის ამოცანას წარმოადგენს შევისწავლოთ თურქეთში მოქმედი პანთურქისტული ორგანიზაციების საქმიანობა და გავაკეთოთ მათი ანალიზი. ასევე ამ ორგანიზაციების როლი ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. გამოვიკვლიოთ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს

თურქეთში პანთურქული იდეოლოგიის გაძლიერებას სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებზე და წარმოადგენს თუ არა საფრთხეს ამ ქვეყნებისთვის.

საკვლევი კითხვები

1. რას არის პანთურქული იდეოლოგიის არსი და არის თუ არა მსგავსი თურანიზმთან?
2. როგორია პანთურქიზმის პოლიტიკური განვითარების ისტორიული მომენტები და სად ვითარდებოდა მისი იდეოლოგიური ბაზისი?
3. მოახდინა თუ არა ,,ახალგაზრდა თურქების“ რევულუციამ ოსმალეთის იმპერიის მმართველ ელიტაში იდეოლოგიური და პოლიტიკური პარადიგმის ცვლილება?
4. რა გავლენა შეიძლება მოახდინოს პანთურქიზმის იდეოლოგიამ სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების უსაფრთხოებაზე?
5. არის თუ არა პანთურქიზმი თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური კურსის განმსაზღვრავი იდეოლოგია?

ჰიპოთეზა თეორიულ დონეზე განვიხილეთ და დავუშვით შესაძლებლობა როგორც ოსმალეთის იმპერიაში ისე თანამედროვე თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კურსში პანთურქიზმის სახელმწიფო იდეოლოგიად დამკვიდრება. წარმოვადგინეთ ორი ჰიპოთეზა შემდეგი ფორმურილებით:

(H1): პანთურქიზმი ვითარდებოდა როგორც იდეოლოგიური მოძრაობა და მისი ისტორიული გენეზისის ფაქტორიდან გამომდინარე გამოიწვია ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაცია, რომელმაც გავლენა იქონია იმპერიის გეოპოლიტიკური პრიორიტეტებზე.

(H2): თურქეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსში პანთურქული იდეოლოგიის დამკვიდრება-გაძლიერება არის საფრთხე სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების პოლიტიკური სტაბილურობისათვის.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანი - პანთურქიზმის იდეოლოგი და მისი გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე.

კვლევის ობიექტი - სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რეგიონული უსაფრთხოება.

ნაშრომის თეორიული საფუძვლები

1913 წელს სტატიით **„ფსიქოლოგია ბიჰევიორისტის თვალზრისით“ ჯონ ბროდეს უოთსონმა**[4] საფუძველი ჩაუყარა ბიჰევიორიზმს, რომელიც ზოგადფსიქოლოგიური მოძღვრებაა და პრინციპულად უპირისპირდება მანამდე არსებულ მიდგომებს. იგი უარს ამბობს ცნობიერების კვლევაზე, რადგანაც მისი შესწავლა თვითდაკვირვებას გულისხმობს. ფსიქოლოგიის საგნად ცხადდება ქცევა, რომელიც დაკვირვებასა და შესწავლას ექვემდევარება.

ცნობილია, რომ ნებისმიერ ქცევას შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს შედეგი. შედეგიანი ქცევა ორი სახისაა - სასიამოვნო და უსიამოვნო. სასიამოვნო შედეგის შემთხვევაში ქცევის ალბათობის გამეორება იზრდება, უსიამოვნო შედეგი კი ამცირებს ქცევის ალბათობას. უშედეგო ქცევა თანდათან იკარგება და დავიწყებას ეძლევა.

სასმიამოვნო შემთხვევის ქცევას დავუკავშირეთ პანთურქისტების სურვილი შეექმნათ თიურქულენოვანი ხალხების გაერთიანება ოსმალეთის იმპერიის ქოლგის ქვეშ, რადგან მიაჩნდათ, რომ რაც ერთხელ უკვე მოხდა, (მაგ. ოსმალეთის იმპერია) მისი გამეორება შესაძლებელია. სწორედ ამიტომ, რადგანაც სასიამოვნო შედეგის გამეორება შესაძლებელია, ბიჰევიორიზმის ეს თეორია ჩვენს კვლევის თეორიულ საფუძვლებს ესადაგება. ასევე უსიამოვნო შედეგის ქცევად შეიძლება ჩაითვალოს პანთურქიზმის იდეოლგიის მარცხი და მასზე უარის თქმა.

ბიჰევიორიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელის ამერიკელი ფსიქოლოგის ბერას ფრედერიკ სკინერის მიხედვით ადამიანის ქცევის ჩამოყალიბებაში გარე ფაქტორებს და იმ გამოცდილებას, რომელსაც იგი იძენს სოციალურ გარემოში გადამწყვეტი როლი ეკისრება.

[4] Watson John. B. Psychology as the behaviorist views it, Psychological Review, 20, 1913

სემუელ ჰანტინგტონის ,,ცივილიზაციათა შეჯახების“[5] კონცეფციაში სიღრმისეულად არის განხილული ფუნდამენტური რელიგიების გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე, თუ როგორ შეუძლია რელიგიის ფენომენს შეცვალოს სამყაროს გეოპოლიტიკა.

ჰანტინგტონის კონცეფციის მთავარი იდეას წარმოადგენს აზრი, რომ ხალხის კულტურული და რელიგიური იდენტობა იქნება კონფლიქტის მთავარი წყარო ,,ცივი ომის“ შემდგომ მსოფლიოში. მას მიაჩნდა, რომ მომავალი ომები იქნებოდა არა ქვეყნებს, არამედ კულტურებს შორის. ჰანტინგტონის აზრით სამყარო დაუბრუნდება იმ ნორმალურ მდგომარეობას, რომელიც ხასიათდება კულტურული კონფლიქტით მაშინ როცა დასრულდება იდეოლოგიის ასაკი. მისივე მტკიცებით კონფლიქტების მთავარი ღერძი მომავლისთვის კულტურული ხაზების გასწვრივ იქნება. ,,ფორენ აფეარზის“ 1993 წლის სტატიის ,,ცივილიზაციათა შეჯახებაში“, ჰანტინგტონი წერს, რომ ,,ეს არ არის ცივილიზაციებს შორის კონფლიქტები სასურველი მიზნის მისაღწევად. ეს არის ჰიპოთეზა, თუ როგორი შეიძლება იყოს მომავალი“. ჰანტინგტონს მიაჩნია, რომ როგორც ქრისტიანობა, ასევე ისლამი არიან მისიონერული რელიგიები. ორივე რელიგია ცდილობს სხვების მოქცევას, ორივე არის უნივერსალური და ყოვლისმომცველი იმ გაგებით, რომ მათი აზრით მხოლოდ მათი რწმენაა სწორი. სწორედ ეს არის ამ კონფლიქტში მონაწილე ზოგიერთი ფაქტორის ახსნა. ჰანტინგტონი ცდილობს, ,,ცივი ომის“ შემდგომი ლოკალური თუ გლობალური კონფლიქტები ცივილიზაციათაშორისი დაპირისპირებით ახსნას, თუმცა ,,ყველა კონფლიქტის დაყვანა ცივილიზაციათა შეხლამდე არ იქნებოდა სწორი“.[6]

,,უსაფრთხოების თემა ყოველთვის წარმოადგენდა საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი კვლევის ობიექტს სულ მცირე 60 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით ,,ცივი ომის“ დაწყებისთანავე... თუმცაღა

---

[5] Huntington S. The Clash of Civilizations, Original essay from Foreign Affairs, 1993,

[6] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი, გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები, თბილისი, ტ.I, 2019, გვ.85

უსაფრთხოების პრობლემატიკა გახდა აქტუალური საკითხი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც კაცობრიობა დაფიქრდა თუ რა ტრაგიკული შედეგები მოუტანა მთლიანად კაცობრიობას ამ ომმა.“[7] ამ მხრივ საინტერესოა **რიჩარდ კოენის ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების“[8]** კონცეფცია, სადაც აღწერილია საერთაშორისო უსაფრთხოების ჩამოყალიბების რეალური განვითარების მოდელი. ამ მოდელის მიხედვით გლობალური პირობების დაცვა და განსაზღვრა სახელმწიფოებრივ აქტორებთან ერთად (სახელმწიფო, სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციები, სახელმწიფოებრივი კორპორაციები და ა.შ) არასახელმწიფოებრივ აქტორებსაც შეეძლებათ. კოენის ,,თანამშრომლობითი უსაფთხოების''კონცეფციის მთავარი ინსტრუმენტი საერთო საფრთხეების აღიარებაა. ქვეყნების კოალიციაში გაწევრიანება ან თანამშრომლობითი კავშირების შექმნა დანარჩენ ქვეყნებთან საერთო საფრთხის აღქმაა. საერთო საფრთხის აღქმის შემდეგ თანამშრომლობით კავშირში შესაძლებელია გაერთიანდნენ ისეთი ქვეყნებიც კი, რომლებსაც განსხვავებული იდეოლოგიური პრინციპები გააჩნიათ''.[9]

თურქულ-თურანულ ნაციონალიზმის ანალიზისთვის გამოვიყენეთ **კონსტრუქტივიზმის თეორია.** 1989 წელს ნიკოლას ონუფმა თავის წიგნში ,,World of our Making“[10] საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში პირველად გამოიყენა ტერმინი ,,კონსტრუქტივიზმი“, რომელიც ახალ, საერთაშორისო ურთიერთობების რეკონსტრუქციას დაუდებდა საფუძველს. კონსტრუქტივიზმი ვითარდება რამდენიმე ძირითადი კონცეფციის გარშემო, ესენია იდენტობა, აგენტები და მათი ინტერესები,

[7] მაღრაძე გ. მაისაია ვ. 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები, თბილისი, 2017

[8] Cohen R. And Mihalka M. Cooperative Security: New Horozons for Internatiuonal Order in The Marshall Center Paperds, No.3. Germany, April, 2001, p.1

[9] მაღრაძე გ. მაისაია ვ. დასახ. ნაშრ. გვ.86

[10] Onuf N.G. World of Our Making, University of South Carolina press in Columbia, South Carolina, USA, 1989

ნორმები, ინტერაქცია და ენა/დისკურსი. კონსტრუქტივიზმის თანახმად შესაძლებელია სახელმწიფო იდენტობის განსაზღვრა.

ალექსანდრ ვენდტის აზრით ,,საერთო იდეები უფრო მეტად განსაზღვრავს ადამიანთა ერთობას ვიდრე მატერიალური ძალები".[11] სწორედ ახალ იდენტობის საფუძველზე აღმოცენდა ნაციონალიზმის თურქულ-თურანული იდეოლოგია, რომელმაც გააძლიერა ნაციონალიზმი და შექმნა ისეთი იდენტობა, რომელმაც განსაზღვრა თურქული ნაციონალიზმის ფორმა და გავლენა იქონია სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე.

1980-1990-იან წლებში დასავლეთ ევროპელი მკვლევარების მიერ დამკვიდრდა **,,კულტურული რასიზმის თეორია."** მათი აზრით როდესაც მე-20-ე საუკუნის მეორე ნახევარში ბიოლოგიურმა რასიზმა დაკარგა აქტუალობა ის ჩაანაცვლა კულტურულმა რასიზმმა, რომელიც დაფუძნებულია კულტურათა შორის იერარქიული განსხვავების რწმენაზე და ძირითადად გამოიხატებოდა დასავლურ ქვეყნებში ემიგრანტების მიმართ მტრული დამოკიდებულებით.

თურქულ ნაციონალიზმზე საუბრისას გამოვიყენეთ ჯეიმს ბლოთის ,,კულტურული რასიზმის თეორია",[12] რომელიც გამოიხატება საზოგადოებრივ რწმენებსა და ჩვეულებებში. თეორიის მიხედვით რომელიმე ერთი კულტურა, მისი ენა და ტრადიციები გაცილებით მაღლა დგას ვიდრე სხვა კულტურები.[13] ამ თეორიის იდეის მიხედვით სხვადასხვა კულტურების თანაარსებობა ერთ საზოგადოებასა თუ სახელმწიფოში ფუნდამენტურად არის შეუთავსებელი.

კულტურული რასიზმის თეორიას დავუკავშირეთ ათსიზის და თურქქანის თურქული რასის თეორიები.

---

[11] ვენდტი ა. იდენტობა და სტრუქტურული ცვლილებები საერთაშორისო პოლიტიკაში, თარგმნ. ლაშა მარკოზაშვილი, თბილისი, 1996, გვ.11

[12] Blaut J. M. The Theory of Cultural Racism, Antipode: A Radical Journal of Geography, Volule 24 , Issue 4, Online Library, https://doi.org/10.1111/j.1467-8330.1992.tb00448.x, UK, October 1992

[13] Blaut J. M. დასახ. ნაშრ. pp. 289–99.

ათსიზის თურქული რასიზმი გულისხმობს თურქი ერის დაცვას ყველა სხვა ერისგან, ანატოლიის რასობრივი წმენდის აუცილებლობას, ჰიბრიდული საზოგადოებისგან გაწმენდას, რადგან მიაჩნდა, რომ მხოლოდ თურქული სისხლის მქონე ინდივიდებისგან იქნებოდა თურქი ერი ძლიერი.

თურქი ერის სხვა ერებზე აღმატებულობაზე საუბრობს თურქქანი და თვლის, რომ სხვა ერებისგან განსხვავებით თურქი იბადება ზეაღმატებული ნიჭით, რომელსაც ის როგორც თურქი, იღებს მემკვიდრეობით და მიაჩნია, რომ თურქების ჩამორჩენილობის მიზეზი რასობრივი აღრევაა.

კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი დამყარებულია სამეცნიერო ლიტერატურასა და ისტორიული წყაროებზე. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იქნა კვლევის თვისებრივი მეთოდი - რაც გულისხმობს თეორიის საფუძველზე წინასწარი ჰიპოთეზის შემუშავებას და ანალიზისა და კვლევის შედეგად ჰიპოთეზის დადასტურებას ან უარყოფას.

ნაშრომში გამოყენებული გვაქვს თვისებრივი კვლევის მეთოდები, როგორიცაა:

* დოკუმენტური ანალიზის მეთოდი;
* მონაცემთა შეგროვების ანალიზი;
* ისტორიულ-აღწერილობითი კვლევის მეთოდი;
* შედარებითი ანალიზის მეთოდი;
* შემთხვევის ანალიზი (Case Study);
* სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი.

კვლევის ძირითადი მეთოდია შემთხვევის შესწავლა (Case Study). პირველ რიგში გავაანალიზეთ შესაბამისი ლიტერატურა, სტატიები, პუბლიკაციები, რომლებშიც ყურადღება დათმობილი ჰქონდა ,,პანთურქიზმის“, როგორც იდეოლოგიის შესწავლას ჩამოყალიბების საწყის და მისი განვითარების ეტაპებზე და შესაბამის კვლევას. განვიხილეთ

თანამედროვე ეტაპზე თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებთან მიმართებაში. გავაანალიზეთ რამდენად საფრთხის შემცველია ეს დაინტერესება რეგიონის ქვეყნების სახელმწიფოებრივი უსაფრთხოებისთვის.

გარდა ზოგადი მეთოდოლოგიური საფუძვლებისა ნაშრომში გამოყენებულა მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ისეთი კონკრეტული მეთოდოლოგიური ტექნიკები, როგორიცაა; საარქივო მასალების და მეორეული წყაროების ანალიზი - სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შესასწავლი საკითხის გარშემო არსებობს. იგულისხმება თეორიული სახის ლიტერატურა, აგრეთვე პირველადი წყაროების ანალიზი - ,,პანთურქიზმის“ როგორც იდეოლოგიასთან დაკავშირებული ლიტერატურის და ისტორიული წყაროების მასალების ობიექტური ანალიზი ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია სიღრმისეული ინტერვიუები- ინტერვიუები პოლიტიკური ელიტის და აგრეთვე საექსპერტო წრეების წარმომადგენლებთან.

კვლევის ფარგლებში ინტერვიუ ჩავწერეთ როგორც ქართველ, ისე უცხოელ ექსპერტებთან.

თვისებრივი კვლევისას გამოვიყენეთ შინაარსის ანალიზი (კონტენტ ანალიზი). შინაარსის ანალიზი წერილობითი მონაცემების, მათი ძირითადი შინაარსისა და მოწოდებული ცნობის შეჯამებასა და წარდგენას გულისხმობს. უფრო ზუსტად, კონტენტ ანალიზი განისაზღვრება, როგორც წერილობითი მონაცემების შინაარსის დეტალური ანალიზის, შესწავლისა და დასაბუთების ზუსტი და თანმიმდევრული პროცედურების ერთობლიობა. კონტენტ ანალიზისას მოცემული ტექსტის გაანალიზება, მოცულობის შემცირება, გარჩევა და შეჯამებული სახით წარმოდგენა ხდება. აღნიშნული ხორციელდება წინასწარ არსებული კატეგორიებისა და ტექსტზე მუშაობის პროცესში გამოკვეთილი თემების საშუალებით და მიზნად თეორიის განზოგადებას ან შემოწმებას ისახავს.

საკითხების თემატიკიდან და მოცულობიდან გამომდინარე აღნიშნული მეთოდები იყო საკმაოდ ეფექტური. კვლევებისას წარმოდგენილი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება - გათვალისწინება დაგვეხმარა ნაშრომის სრულყოფილად ჩამოყალიბებაში, რამაც საშუალება მოგვცა შესასწავლი საკითხი წარმოგვეჩინა მრავალფეროვნად და საინტერესოდ. ვფიქრობთ აღნიშნული ნაშრომი დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ პანთურქული იდეოლოგიის მკვლევარებს, არამედ თემით დაინტერესებულ მკითხველსაც.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ქართულ სამეცნიერო სივრცეში, პანთურქიზმის იდეოლოგიის წარმოშობა, აღმავლობა და როლი ოსმალეთის იმპერიაში და შემდგომ თურქეთის რესპუბლიკაში ძირითადად შესწავლილია მე-20 საუკუნის 60-იან წლებში, მაშინ როცა საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შემადგენელი ნაწილი იყო. ამიტომ არსებულ კვლევებში ნათლად ჩანს მაშინდელი ცენზურის გავლენა და დამოკიდებულება, რომ პანთურქიზმი იყო იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ მოფიქრებული იდეოლოგია რუსეთის და შემდგომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ვფიქრობთ მაშინდელი პოლიტიკური სისტემიდან გამომდინარე არსებული ნაშრომები ნაკლებად ობიექტურია.

შევეცადეთ ახლებურად წარმოგვეჩინა იდეოლოგიის არსი. ვფქირობთ, რომ პანთურქიზმი, პანთურქი იდეოლოგების მტკიცების მიუხედავად არის პოლიტიკური მნიშვნელობის სიტყვა და არა მეცნიერული ტერმინი, რომლის მიზანი იყო მხოლოდ თურქი ხალხის, თურქული ენის, თურქული კულტურის შესწავლა. პანთურქიზმი ასევე არ არის ირედენტისტული მოძრაობა. ირედენტიზმი თავისი არსით რომელიმე ქვეყანაში კომპაქტურად დასახლებული ეროვნული უმცირესობების სურვილს ნიშნავს გამოეყონ ქვეყანას და შეუერთდნენ ისტორიულ სამშობლის, ირედენტისტები არ ემხრობიან დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის იდეას. თუ გავიხსენებთ ,,ახალგაზრდა თურქების“ კავკასიურ

პოლიტიკას, ვფიქრობთ გადაჭარბებული შეფასებაა პანთურქული იდეოლოგიის ირედენტისტულ მოძრაობად აღქმა.

პანთურქიზმი თავისი არსით არის პოლიტიკური იდეოლოგია, რომლის მიზანი იყო ყველა თურქული მოდგმის ხალხის გაერთიანება ერთიან თურქულ სახელმწიფოში.

ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში პანთურქული იდეოლოგიის უცხოელი მკვლევარების ნაშრომებისგან განსხვავებით არ გხვდება ტერმინი ,,საზღვრისგარე თურქი" ან ,,გარე თურქი." ვთვლით, რომ ამ ტერმინის გამოყენება ჩვენს ნაშრომში საფუძველს დაუდებს მის დამკვიდრებას ქართულ სამეცნიერო სივრცეში.

ნაშრომის თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე პანთურქიზმი და პანთურქიზმზე დაყრდნობილი ოსმალეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკა საინტერესოა ქართველი მკითხველისთვის, ვინაიდან პანთურქული თეორიის პრაქტიკული რეალიზებისთვის საქართველოს და ზოგადად სამხრეთ კავკასიის რეგიონს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ქართულ სამეცნიერო-აკადემიურ საზოგადოებაში უკვე არსებულ ნაშრომებთან ერთად დაეხმარება მომავალში პანთურქიზმით დაინტერესებულ მკვლევარებს საბაზისო ცოდნის გაღრმავებაში.

ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურა. როგორც უკვე აღვნიშნეთ პანთურქიზმის კვლევა გასული საუკუნის 60-იან წლებს უკავშირდება და მეტ-ნაკლებად სუბიექტურია საბჭოთა რუსეთის და შემდგომ საბჭოთა კავშირთან მიმართებაში, რაც გამოწვეულია იმ ეპოქაში არსებული ცენზურით. ახალი კვლევები ქართულ სამეცნიერო სივრცეში ნაკლებადაა, შესაბამისად ქართულ ენაზე ნაკლებად მოიპოვება შესაბამისი ლიტერატურა.

ძირითადად მოგვიწია უცხოენოვანი, კერძოდ ინგლისური, გერმანული და თურქული ლიტერატურის შესწავლა რაშიც ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია აშშ-ში, ვაშინგტონში, კონგრესის ბიბლიოთეკაში დაცულმა წიგნადმა ფონდმა, ასევე სტამბულის კადირ ჰასის უნივერსიტეტში და ,,თურქ ოჯაღის" სტამბულის ოფისში ჩატარებულმა კვლევებმა.

გამოყენებული მრავალრიცხოვანი ლიტერატურიდან განვიხილავთ რამდენიმე ნაშრომს, რომელთაც მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია წარმოდგენილი თემის დამუშავებაში.

უპირველესად აღნიშნვის ღირსია **ოთარ გიგინეიშვილის ,,თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა".**[14] წიგნში განხილულია პანთურქიზმის წარმოშობის და განვითარების ისტორია ოსმალეთის იმპერიაში. დახასიათებულია ოსმალეთის სოციალური, ეკონომიკური და ისტორიული თავისებურებანი, რომელთაც განაპირობეს პანთურქიზმის გადაქცევა ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკის წარმმართავ იდეოლოგიად. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში არსებული პოლიტიკური ვითარება ოსმალეთის იმპერიის მმართველმა პოლიტიკურმა ელიტამ პანთურქიზმის განხორციელების და თურანის შექმნის იდეალისთვის ხელსაყრელად მიიჩნია, ამიტომაც ავტორი ნაშრომში დიდ ადგილს უთმობს პირველი მსოფლიო ომის პერიოდს, ყურადღება ძირითადად გამახვილებულია იმ მომენტებზე, რომლებიც უშუალოდ ოსმალეთის იმპერიასთან არის დაკავშირებული. ავტორი პანთურქიზმს ,,თურქიზმს" უწოდებს და აღნიშნავს, რომ ,,თურქიზმის იდეოლოგიის წარმოშობა არ იყო შემთხვევითი მოვლენა, მისი შექმნა და გაძლიერება განპირობებული იყო თურქეთის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თავისებურებებით".[15] აღნიშვნის ღირსია ასევე ოთარ გიგინეიშვილის ,,ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან".[16] წიგნში განხილულია ოსმალეთის იმპერიის საშინაო მდგომარეობა და საგარეო პოლიტიკის საკითხები XVIII

[14] გიგინეიშვილი ო. თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბილისი, 1963
[15] გიგინეიშვილი ო. დასახ. ნაშრ. გვ.52
[16] გიგინეიშვილი ო. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, თბილისი, 1982

საუკუნის უკანასკნელი მეოთხედში, ოსმალეთის პოლიტიკა საქართველოს და კავკასიის მიმართ ოსმალეთის იმპერიის არსებობის ბოლო წლებში, განხილულია ,,ახალგზარდა თურქების“ მმართველობის პერიოდი და მათი პანთურქული ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებთან მიმართებაში.

მიხეილ სვანიძე ,,ოსმალეთის ისტორია“ (1600-1923)[17]. წიგნში განხილულია ოსმალეთის ისტორიის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური საკითხები 1600 წლიდან 1923 წლამდე. წიგნში სათანადოდ არის გაშუქებული ოსმალეთის ურთიერთობა რუსეთთან, აღმოსავლეთის ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან. ავტორი მოგვითხრობს XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის ოსმალეთის იმპერიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების საინტერესო დეტალებს. სათანადოდო არის აღწერილი ის პოლიტიკური რეფორმები და სოციალური ცვლილებები, რომლებიც თან სდევდა ე.წ. ,,თანზიმათის“ ეპოქას. გარდა ამისა მნიშვნელოვანად დაგვეხმარა სრულყოფილად შეგვესწავლა ,,ახალგაზრდა თურქების“ რევოლუცია, პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერიის მარცხი და ზოგადად ამ პერიოდის იმპერიის პოლიტიკური ცხოვრების დეტალები. დიდი ადგილი ეთმობა 1918-1923 წლებში ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლას, სასულთნოს გაუქმებას და რესპუბლიკური წყობის დამყარებას.

ასევე საინტერესო იყო **მიხეილ სვანიძის ,,თურქეთის ისტორია 1923-2000 (რესპუბლიკის პერიოდი)**,[18] სადაც განხილულია თურქეთის რესპუბლიკის უახლესი ისტორიის საკითხები სასულთნოს გაუქმების და რესპუბლიკური მმართველობის დამყარებიდან 2000 წლამდე.

საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ავტორთა მიერ შესრულებული (გიორგი სანიკიძე, გიული ალასანია, ნანი გელოვანი) კრებული ,,ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან

[17] სვანიძე მ. ოსმალეთის ისტორია (1600-1923), ტ.II. თბილისი, 2002
[18] სვანიძე მ. თურქეთის ისტორია 1923-2000 (რესპუბლიკის პერიოდი), ტ.III. თბილისი, 2005

(XIX ს. - XXI ს-ის დასაწყისში).[19] წიგნში მოთხრობილია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრების დეტალები XIX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. ყურადღება გამახვილებულია ახლო აღმოსავლეთის ისტორიულ განვითარებაზე, კულტურულ ტრადიციებზე, რელიგიაზე, თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობასა და რეგიონის სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობების სპეციფიკაზე. ნაშრომში წარმოდგენილია ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის ურთიერთობები კავკასიის სამხრეთის ქვეყნებთან სხვადასხვა რელიგიური თუ პოლიტიკური მოძრაობების განხილვის ფონზე.

გამოყენებული ქართული სამეცნიერო ლიტერატურიდან აღსანიშნავია **რევაზ გაჩეჩილაძის ორტომეული ,,ახლო აღმოსავლეთი, გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები"[20] და ,,ახლო აღმოსავლეთი-გეოპოლიტიკა".[21]** წიგნში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ცვალებადი პოლიტიკური ლანდშაფტის ფონზე განხილულია ოსმალეთის იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, დასავლეთ ევროპიდან შემოსული ნაციონალიზმის იდეების გავლენა ოსმალეთის იმპერიის არამუსლიმ მოსახლეობაზე, რამაც მალე მოიცვა მთელი იმპერია და საფუძველი ჩაუყარა საიდუმლო ორგანიზაციების შექმნას სულთნის რეჟიმის წინააღმდეგ. ხსენებული ნაშრომი მოგვითხრობს ,,ახალგაზრდა თურქების" მოძრაობის შესახებ, მათ ბრძოლას თავდაპირველად პარლამენტის აღდგენის მოთხოვნით, კონსტიტუციური მონარქიის შექმნის და ზოგადად დემოკრატიული პრინციპების დამყარებისთვის. განხილულია ის საგარეო პოლიტიკური ფაქტორები, რომელმაც აიძულა ,,ახალგაზრდა თურქები" უარი ეთქვა ,,პანოსმანიზმის" იდეაზე და წინ წამოეწიათ ეთნიკური თურქების ეროვნული თვითშეგნების გაძლიერება.

---

[19] ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს. და XXI ს-ის დასაწყისი), სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. კრებული, თბილისი, 2011

[20] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი, გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები, ტ.I. თბილისი, 2019

[21] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი -გეოპოლიტიკა, ტ. II, თბილისი, 2019

ასევე მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია **რევაზ გაჩეჩილაძის ავტორის მონოგრაფიამ ,,საქართველო რეგიონულ კონტექსტში,"**[22] სადაც წარმოდეგნილია საქართველოს როლი და მნიშვნელობა რეგიონსა და მსოფლიო პოლიტიკაში. განხილულია საქართველოს ისტორიული გეოპოლიტიკა და პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვალებადობა, ასევე ოთხივე უშუალო მეზობლის ძირითადი პრობლემები და მათი ურთიერთობები საქართველოსთან. როგორც საქართველოს მოსაზღვრე მეზობელ ქვეყანას და სტრატეგიულ პარტნიორს მონოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი თურქეთს. ავტორი მოგვითხრობს რესპუბლიკური თურქეთის მშენებლობიდან მოყოლებული თანამედროვე თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმთავრეს საკითხებს, პოლიტიკურ ურთიერთობებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან, თურქეთის ნეოოსმანურ პოლიტიკაზე და სურვილზე, გახდეს რეგიონის ჰეგემონი ქვეყანა.

არჩილ ჩაჩხიანის ,,რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ენიგმა (1920-1922)[23] სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის სამეცნიერო გამოკვლევაა. ნაშრომში მოთხრობილია 1920-1922 წლების გასაიდულმოებული სამხედრო პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ, რომელიც არსებობდა სასაბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და ოსმალეთის იმპერიის მმართველ ტრიუმვირატის წევრებს შორის. 1917-1918 წლებიდან მოყოლებული რუსულ-ოსმალურ ურთიერთობები მუდმივად საბედისწერო იყო საქართველოსთვის და მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რეგიონის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ მოწყობაზე ათწლეულების განმავლობაში. აღნიშნული ნაშრომის მეორე თავი ,,პანთურანიზმი და ,,აღმოსავლეთის ხალხთა" საკითხი" დათმობილი აქვს პანთურქიზმის იდეოლოგიის წარმოშობას და მისი შემდგომი განვითარების მოვლენებს. ავტორი პანთურქიზმს ახასიათებს როგორც

[22] გაჩეჩილაძე რ. საქართველო რეგიონულ კონტექსტში, თბილისი, 2023
[23] ჩაჩხიანი ა. რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ენიგმა (1920-1922), თბილისი, 2015

იდეოლოგიურ-პოლიტიკურ მიმდინარეობას, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს ჩაისახა რუსეთის იმპერიაში, განვითარდა ოსმალეთის იმპერიაში და იქცა სახელმწიფო იდეოლოგიად ,,ახალგაზრდა თურქების“ მმართველობის წლებში. მათი უმთავრესი მიზანი იყო ევრაზიის თურქული მოდგმის ხალხების გაერთიანება და ერთიანი თურქული სახელმწიფოს შექმნა. ავტორის შეხედულებით, ,,არასწორია მოსაზრება, რომ ,,თურქიზმის“ იდეოლოგიას და ,,დიდი თურანის“ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ პროექტს თურქული წარმომავლობა, თურქული ფესვები აქვს. ,,თურქიზმი“, ,,დიდი თურანის“ კონცეფცია ,,პანთურანიზმი“ როგორც იდეოლოგია სულ სხვა სივრცესა და რეალობაში, სულ სხვა პოლიტიკურ გარემოში, კერძოდ, რუსეთის ცარისტულ იმპერიაში ჩაისახა, თურქიზმის იდეის ფორმირება პირდაპირ დაკავშირებულია ოსმალურ და რუსულ იმპერიებში მცხოვრები თურქული მოდგმის ხალხების ბედთან.“[24]

,,ცივი ომის“ და მის შემდგომ ეპოქის თურქეთზე, როგორც აღმოსავლეთის პლაცდარმი და ნატო-ს წევრი ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც უზრუნველყო საბჭოთა კავშირის აგრესიის შეკავება აღმოსავლეთის მიმართულებით, მოგვითხრობს **ზურაბ აბაშიძის წიგნი ,,ცივი ომი-მოგზაურობა დღევანდელ წარსულში.“[25]**

მაია მანჩხაშვილი, ემზარ მაკარაძე წიგნი ,,ქემალიზმი და დემოკრატიზაცია თურქეთში“.[26] ნაშრომი ეხება თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ-იდეოლოგიური ფუნდამენტის - ქემალიზმის პრინციპებს. ქემალიზმის პრინციპებზე დაშენებულია რესპუბლიკური თურქეთის მთელი იდეოლოგია, რომელთა განხორციელებამაც თურქეთი აქცია წარმატებულ სახელმწიფოდ. ამ წარმატების მიზეზი, ავტორების აზრით არის ის, რომ ,,საფუძველშივე სწორად იქნა განსაზღვრული იდეოლოგიური მიმართულებები“.[27]

---

[24] ჩაჩხიანი ა. დასახ. ნაშრ., გვ. 73

[25] აბაშიძე ზ. ცივი ომი - მოგზაურობა დღევანდელ წარსულში, თბილისი, 2021

[26] მანჩხაშვილი მ. მაკარაძე ე. ქემალიზმი და დემოკრატიზაცია თურქეთში, თბილისი, 2014

[27] მანჩხაშვილი მ. მაკარაძე ე. დასახ. ნაშრ. გვ.4

საინტერესო ინფორმაციას შეიცავს თანამედროვე თურქეთის გეოპოლიტიკას და ინტერსებზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში ავტორთა ჯგუფის **(ტრეისი ჯერმანი, სტივენ ჯონსი, კორნელი კაკაჩია) კრებული „საქართველოს საგარეო პოლიტიკა 21-ე საუკუნეში, გამოწვევები პატარა ქვეყნისთვის“.**[28]

რაც შეეხება უცხოენოვან ლიტერატურას უმნიშვნელოვანესი იყო ჩვენი ნაშრომისთვის ამერიკელი-ებრაელი მეცნიერის ჯეიკობ ლანდაუს „Pan-Turkism From Iredentism to Cooperation“[29] და „Pan-Turkism In Turkey, A Stady In Irredentism“[30] შრომები და ანიტა სენგუპტას „Myth and Rhetoric of the Turkish Model“.

ჯეიკობ ლანდაუს „Pan-Turkism From Iredentism to Cooperation“ ამომწურავ ინფორმაციას შეიცავს პანთურქული იდეოლოგიის წარმოშობაზე, „საზღვისგარე თურქების“ როლზე ოსმალეთის იმპერიაში მის გავრცელებასა და განვითარებაზე. გვაწვდის ინფორმაციას თითქმის ყველა პანთურქულ პუბლიკაციზე და მის ავტორებსა და პუბლიცისტბზე. ნაშრომი მდიდარია თითქმის ყველა შესაძლო წყაროებით, მათ შორის არქივებსა და კოლექციებში დაცული მასალებით, რომელთა საფუძველზე ავტორი დეტალურად მოგვითხრობს პანთურქიზმის იდეოლოგების, პანთურქული ორგანიზაციების და მათი საქმიანობის, რესპუბლიკურ თურქეთში პანთურქული იდეოლოგიის აკრძალვასა და იდეოლოგიის პროპაგანდისტული ორგანიზაციების საქმიანობის ლატენტურ ეტაპზე; მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იმ ხელსაყრელ პოლიტიკურ ვითარებაზე, რამაც ხელი შეუწყო პანთურქული იდეოლოგიის აღორძინებას რესპუბლიკურ თურქეთში;

---

[28] საქართველოს საგარეო პოლიტიკა 21-ე საუკუნეში, გამოწვევები პატარა ქვეყნისთვის, ჯერმანი ტ. ჯონსი ს. კაკაჩია კ. კრებული, თბილისი, 2023

[29] Landau M. J. Pan-Turkism from Iredentism to Cooperation, Indiana University Press, Bloomington and Indianapolis, Indiana, 1995

[30] Landau M. J. Pan-Turkiism in Turkey a stady in iredentism, london, 1981

ანიტა სენგუპტა წიგნში Myth and Rhetoric of The Turkish Model, Exploring Developmental Alternatives,[31] განიხილავს თუ რა იყო თურქული მოდელი ანუ თურქული განვითარების ალტერნატივა და რატომ გავრცელდა იგი ცენტრალური აზიის ქვეყნებში საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე. ავტორი ამტკიცებს, რომ თურქული მოდელი, როგორც მოდელი სეკულარული, დემოკრატიული, ლიბერალური საზოგადოების იდეალი, იყო მითი. თურქული სამყაროს განიხილავს როგორც კულტურული ცივილიზაციის ალტერნატივას. გარდა ამისა სხვა დანარჩენ პოლიტიკურ საკითხებთან ერთად გვთავაზობს თურქეთის პოლიტიკას პანთურქიზმიდან -ევრაზიანიზმამდე და ევრაზიანიზმიდან - ნეოოსმანიზმამდე; მოგვითხრობს თურქეთის რეგიონული ჰეგემონობის სურვილებზე; თანამედროვე თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ასპექტებზე.

თურქულ-თურანული ნაციონალიზმის ფორმურილებაზე საინტერესო იყო თურქი მკვლევარის **იუსუფ ზია ბოლუქბაშის ნაშრომი Türkçü -Turancı Milliyetçiliğin Düşünsel Temelleri -Üzerine bir İnceleme**[32] (კვლევა თურქულ-თურანული ნაციონალიზმის ინტელექტუალური საფუძვლების შესახებ), სადაც ავტორი განიხილავს თურქულ-თურანული ნაციონალიზმის იდეოლოგიურ არგუმნეტებს. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია თურქულ-თურანული ნაციონალიზმის წარმოშობის ისტორიაზე, ორაზროვან შეხედულებებზე რელიგიის შესახებ, მილიტარიზმზე, სხვადასხვა ეთნიკურ იდენტობებზე, ნაციონალიზმის კომუნიზმთან დაპირისპირებასა და თურანიზმის ფარგლებში მის ფორმირებაზე. ავტორი განმარტავს, რომ ,,ნაციონალიზმი განსაზღვრავს

[31] Sengupta A. Myth and Rhetoric of the Turkish Model, Exploring Developmental Alternatives, London, 2014

[32] Bölükbaş ı Y.Z. Türkçü -Turancı Milliyetçiliğ in Düş ünsel Temelleri - Üzerine bir İ nceleme, Anadolu University, Istanbul, Ocak 2019

მისთვის მისაღებ საგარეო პოლიტიკასაც.“[33] როგორც ავტორი აღნიშნავს, ,,მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალიზმის თურქულ-თურანული იდეოლოგია არის გაგება, რომელსაც მოაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები თურქეთის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, ის ასევე მნიშვნელოვანია თურქულ ნაციონალიზმში თვალსაჩინო გარდაქმნების თვალსაზრისითაც“.[34]

თურქული ნაცინალიზმის წარმოშობაზე, მის სოციალურ და პოლიტიკურ ტრანსფორმაციაზე, ,,ნაციონალიზმების შეჯახებაზე“ საინტერესო იყო გერმანელი მკვლევარის **ტესა ჰოფმანის სტატია ,,Tu□rkischer Nationalismus und seine Auswirkungen auf christliche Minderheiten** (თურქული ნაციონალიზმი და მისი გავლენა ქრისტიანულ უმცირესობებზე), [35]სადაც ავტორი განიხილავს თურქული ნაციონალიზმის წარმოშობის თავისებურებებს არამუსლიმი, განსაკუთრებით ქრისტიანული პოპულაციის ჯგუფებთან შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობის კუთხით. საუბრობს რა თურქულ ნაციონალიზმზე ავტორი ასკვნის, რომ ,,არ არსებობს ერთიანი თურქული ნაციონალიზმი, არამედ ორი ვარიანტი, რომლებიც ნაწილობრივ ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, მაგრამ ავსებენ თავიანთ ძირითად კომპონენტებს. კერძოდ, რელიგიურად ორიენტირებული ნაციონალიზმი და სეკულარული, რეფორმისტული ,,თანამედროვე“ ნაციონალიზმის ვარიანტი, რომელიც განსხვავდება თავისი გამოვლინებით ,,ითიჰათ ვე თერაქი ჯემიეთის“ (იგივე ახალგაზრდა თურქების) მმართველობის (1908-1917) წლების და უპირველეს ყოვლისა შემდგომი ქემალიზმის (1920-1950), რომელიც ჭარბობდა როგორც

[33] Bölükbaş ı Y.Z. Türkçü -Turancı Milliyetçiliğ in Düş ünsel Temelleri - Üzerine bir İ nceleme, Anadolu University, Istanbul, Ocak 2019, Ocak 2019
https://www.researchgate.net/publication/330141540

[34] Bölükbaş ı Y.Z. დასახ. ნაშრმ.

[35] Hofman T. Tu□rkischer Nationalismus und seine Auswirkungen auf christliche Minderheiten, Jurnal Jarbuch Verfolgung und Diskriminierung von Christen, Bonni, 2016

სახელმწიფო იდეოლოგია თურქეთის რესპუბლიკის დაარსებიდან ათწლეულების განმავლობაში“.[36]

გარდა მრავალრიცხოვანი ლიტერატურისა გამოვიყენეთ სხვადასხვა პუბლიკაციები და ინტერნეტგამოცემები. მნიშვნელოვანი იყო ისეთი ავტორების სტატიები როგორიცაა ბერნა პეკესენი, მუსტაფა აქსაქალი, სანდრო ბაკურაძე, გიორგი ასტამიძე, ზაზა ბერიძე, ბექა მაკარაძე, ელისო მაჩიტაძე, ზაზა წურწუმია, ვლადიმერ კობახიძე და სხვები.

მათი შესწავლით და გაანალიზებით, ვფიქრობთ, რომ ნაშრომი გამოვიდა შევსებული ახალი და საინტერესო მასალით, რაც შემდგომში საშუალებას მისცემს საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს მისცეს აქამდე არსებულზე გაცილებით მეტი ინფორმაცია.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავალის, სამი თავის, ათი ქვეთავის, საექსპერტო კვლევის, გამოყენებული ლიტერატურის და დანართისგან. ნაშრომი შესრულებულია A4 ფორმატზე და შედგება 245 გვერდისაგან.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომის შესავალში გადმოცემულია სადისერტაციო თემის აქტუალურობა, კვლევის მიზნები და ამოცანები, ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვები, ნაშრომის ჰიპოთეზა, კვლევის საგანი და ობიექტი, თემის მეცნიერული სიახლე, დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდები და მეთოდოლოგია, სამეცნიერო ლიტერატურის მომიხილვა, ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

[36] Hofman T. დასახ. ნაშრ. z.193

თავი I: პანთურქული იდეოლოგიის წარმოშობის თეორიული ასპექტები, ,,გარე თურქების“ როლი მის შექმნასა და გენეზისში

(ქვეთავები I.I. პანთურქიზმის წარმოშობის თეორიული ასპექტები; I.II პანთურქიზმის იდეოლოგიის ჩამოყალიბების და განვითარების ეტაპები, პერიოდიზაცია; I.III. პანთურქიზმის ლინგვისტური, ისტორიული და ლიტერატურული საფუძვლები)

მოცემულ თავში განვიხილეთ პანთურქული იდეოლოგიის თეორიული ასპექტები, ,,გარე თურქების“ როლი იდეოლოგიის წარმოქმნასა და გენეზისში ოსმალეთის იმპერიის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური თავისებურებების ფონზე, რამაც საფუძველი დაუდო პანთურქიზმის წარმმართავ იდეოლოგიად გადაქცევას იმპერიაში.

განვიხილეთ პანთურქიზმის ჩამოყალიბების და განვითარების ეტაპები, პერიოდიზაცია. ზოგადად რთულია ამ იდეოლოგიის პერიოდიზაციის მცდელობაც კი ოსმალეთის იმპერიაში და თურქეთის რესპუბლიკაში, თუმცა იმის თქმა ნამდვილად შეგვიძლია, რომ იდეოლოგიის აქტიური ეტაპი ოსმალეთის იმპერიაში დაიწყო მეოცე საუკუნის ადრეულ წლებში, სწრაფად განვითარდა და პიკს მიაღწია იმპერიის დაშლის ბოლო დღეებში. თურქეთის რესპუბლიკის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპებზე გადაინაცვლა გვერდით პოზიციაზე, ის ჩაანაცვლა ახალი სახელმწიფოს მიერ მოწონებულმა იდეოლოგიამ, თუმცა ის სრულად არ გამქრალა და არ აღმოფხვრილა თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკური დღის წესრიგიდან.

ასევე პირველ თავში განვიხილეთ პანთურქიზმის ლინგვისტური, ისტორიული და ლიტერატურული საფუძვლები. შევისწავლეთ და გავაანალიზეთ პანთურქი იდეოლოგების ნაშრომები, პანთურქული ორგანიზაციების, პანთურქული ასოციაციების საქმიანობა, რომელებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მასებში პანთურქული პროპაგანდისთვის.

თავი II: თურქულ-თურანული ნაციონალიზმი, პანთურქიზმის დაცემა და აღორძინება თურქეთის რესპუბლიკაში (ქვეთავები II.I. თურქულ-თურანული ნაციონალიზმის ისტორიული და პოლიტიკური საფუძვლები; II.II პანთურქიზმი თურქეთის რესპუბლიკაში - ლანენტური ეტაპი; II.III პანთურქიზმის აღორძინება თურქეთის რესპუბლიკაში;

მეორე თავში განვიხილეთ იდეოლოგიური ცვლილება ოსმალეთის იმპერიაში, პანთურქული იდეოლოგიის დაცემა და აღზევება რესპუბლიკური თურქეთის პირობებში, თურქულ-თურანული ნაციონალიზმის ისტორიულ და პოლიტიკური საფუძვლები. შევისწავლეთ თურქულ-თურანული ნაციონალური დაჯგუფებების ჩამოყალიბება XX საუკუნის 30-იანი წლების მსოფლიოში არსებული პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების თავისებურებების ფონზე, რომელზეც გარკვეული გავლენა მოახდინა ომთა შორის არსებულმა საერთაშორისო კონიუქტურამ. გავაანალიზეთ და შევისწავლეთ თურქულ-თურანული ნაციონალიზმის კონცეფცია, რომელიც უარყოფს ოფიციალური, ქემალისტური ნაციონალიზმის იდეოლოგიას. ნაციონალიზმის ამ კონცეფციამ წარმოშობაზე დაფუძნებული ნაციონალიზმი მიიჩნია პრობლემის მოგვარების მთავარ კრიტერიუმად, რაც ეთნიკურად თურქულ წარმოშობას, თურქულ რასას გულისხმობს თვლიან, რომ ,,თურქობის“ კონსტიტუციით განსაზღვრა და მათი წარმომავლობის მხოლოდ ანატოლიის რეგიონით შემოსაზღვრა ყოვლად მიუღებელია. მიაჩნიათ, რომ მთავარია თურქული რასა და წარმოშობა და ამის დადგენა შესაძლებელია თურქეთის წინა-ისლამური ისტორიის, ისლამური სელჩუკების და ოსმალეთის იმპერიის პერიოდებზე დაყრდნობით. ეს მიდგომები ოფიციალური ქემალისტურ ნაციონალიზმთან დაპირისპირების საფუძველი გახდა.

ასევე მეორე თავში ვსაუბრობთ მეორე მსოფლიო ომის წლებზე, როდესაც ომის გავლენით და არსებული პოლიტიკური ვითარებით მოხდა პანთურქიზმის აღორძინება. მასზე დიდი გავლენა მოახდინა და გარკვეულწილად მოექცა კიდეც ორი იდეოლოგიის, ერთის მხრივ

იტალიური ფაშიზმის და მეორე მხრივ გერმანული ნაციზმის გავლენის ქვეშ, რომლის შეხედულებებსაც უფრო წააგავდა იდეოლოგიის ელემენტები. ერთმანეთისგან განვასხვავეთ თურქულ-თურანული ნაციონალიზმი და ოსმალეთის იმპერიის თურქიზმი. განვიხილეთ თუ რა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა ნაციონალიზმის თურქულ-თურანულმა იდეოლოგიამ თურქეთის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე.

თავი III. თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკური მოძრაობების იდეოლოგიური გავლენები და როლი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ სისტემაზე და უსაფრთხოებაზე

(ქვეთავები III.I ,,ახალგაზრდა თურქების“ რევოლუცია; III.II ,,ახალგაზრდა თურქების“ პანთურქული ინტერესები სამხრეთ კავკასიაში; III.III თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა ,,ცივი ომის“ და მის შემდეგ პერიოდში; III.IV ნეო-ოსმანიზმის იდეოლოგია და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რეგიონალურ უსაფრთხოებაზე; III.V საექსპერტო კვლევა და ანალიზი

მესამე თავში შევისწავლეთ ,,ახალგაზრდა თურქების“ რევოლუცია და ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკა პირველი მსოფლიო ომის წლებში. ძირითადი ყურადღება გავამახვილეთ ,,ახალგაზრად თურქების“ კავკასიურ პოლიტიკაზე და მათ ინტერესებზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში; ასევე ოსმალეთის იმპერიის დაცემა და მის ნარჩენებზე ახალი თურქული სახელმწიფოს შექმნა; ურთიერთობები ნაცისტურ გერმანიასთან და მეორე მსოფლიო ომის მონაწილე სხვა სახელმწიფოებთან; ომის შემდგომი თურქეთის პოლიტიკური როლი დასავლეთის ბლოკის ქვეყნების გაძლიერების საქმეში ,,ცივი ომის“ და ,,ცივი ომის“ შემდგომ პერიოდებში.

განვიხილეთ თანამედროვე თურქეთის ნეო-ოსმანური იდეოლოგიის ძირითადი მიმართულებები და მათი რეგიონული ჰეგემონობის პანთურქული საფუძვლები, პანთურქული პოლიტიკური იდეების შესაძლო გატარების პერსპექტივები თანამედროვე თურქეთში.

ნაშრომის ბოლოს განვიხილეთ და გავაანალიზეთ ექსპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუები. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევით და ექსპერტთა გამოკითხვით შევეცადეთ და შეძლებისდაგვარად შევისწავლეთ, გამოვიკვლიეთ და დეტალურად გავაანალიზეთ პანთურქული იდეოლოგიის შექმნის საფუძვლები, მათი მიზნები და გეგმები და დავადგინეთ: თურქებს მიაჩნიათ, რომ ოსმალეთის იმპერიის მოდელი იყო კარგი სახელმწიფოს მოდელი, რომლის აღდგენაც ასე თუ ისე შესაძლებელია და თურქეთი შეიძლება გახდეს ლიდერი ოსმალეთის იმპერიის ყოფილ ტერიტორიებზე, თუმცა, არაბებისთვის ასეთი დამოკიდებულება მიუღებელია, რადგან მათთვის ოსმალეთის იმპერია პირველ რიგში ასოცირდება მჩაგვრელთან.

პანთურქიზმის აღორძინება საფრთხეს წარმოადგენს რუსეთისთვის, რომლის ტერიტორიების 56% ეროვნული ავტონომიური წარმონაქმნებია უმეტესად თიურქულენოვანი ხალხებით, რომელთაც თურქეთის თურქები საკუთრად თვლიან, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ თიურქულენოვანი ხალხების ენაში, კულტურაში განსხვავება შესამჩნევია. ამასთანავე რუსეთში მცხოვრებ თიურქულენოვან ხალხებში არიან ისეთი ნაციონალისტები, რომლებიც მზად არიან თავიანთი კულტურა, ენა გადასცენ თურქებს, თუმცა მათი რიცხვი არც ისე დიდია.

თიურქულ ენებში განსხვავებების გარდა, ყველა თიურქულენოვანი სახელმწიფო განიცდის ნაციონალიზების პროცესს, რაც გარკვეულწილად მათი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის შედეგია. ისინი ქმნიან თავიანთ კულტურას და არ ვფიქრობთ, რომ ეს ქვეყნები უარს იტყვიან თავიანთ ისტორიაზე, თავიანთ სახელმწიფოებრიობაზე.

რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებს - თურქეთის პოლიტიკა ამ ქვეყნებთან მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკური და კეთილმეზობლური პარტნიორობით შემოიფარგლება. საქართველოსთვის თურქეთი არის ერთ-ერთი უმთავრესი სავაჭრო და ეკონომიკური პარტნიორი, ურყევია თურქეთის უმაღლესი პოლიტიკური ელიტის

დამოკიდებულება ქვეყნის დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობასთან მიმართებაში. თურქეთმა ერთ-ერთმა პირველმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ერთა ლიგის მიერ დადგენილ საზღვრებში და აღიარებს მის სუვერენიტეტს აფხაზეთსა და შიდა ქართლის ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მხარს უჭერს საქართველოს გაწევრიანებას ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში. მოცემულ ეტაპზე, თურქეთის ვიწრო ნაციონალისტურ წრეებში არსებული პანთურქული იდეალები საქართველოსთვის არ ქმნის საფრთხეს.

თურქეთისთვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი სამხრეთ კავკასიაში არის აზერბაიჯანის რესპუბლიკა. ეს არის ,,ერთი ერი ორ ტერიტორიაზე", მაგრამ არ ვფიქრობთ, რომ ალიევი წავა იმ ავანტიურაზე და შესაბამისად არც თურქეთის მხრიდან სჩანს იმის სურვილი, რომ მოხდეს აზერბაიჯანის და თურქეთის ერთ სახელმწიფოდ შერწყმა.

რაც შეეხება სომხეთს - საუკუნეზე მეტია ამ ორ ქვეყანას არ აქვს ურთიერთობა მეოცე საუკუნის დასაწყისში თურქეთიდან სომეხთა მასობრივი დეპორტაციის და ხოცვა-ჟლეტის გამო. რამდენიმე მცდელობის მიუხედავად მათ შორის ვერ მოხერხდა დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება. სომხები თვლიან, რომ ეს იყო ე.წ. ,,სომეხთა გენოციდი", რასაც არ აღიარებს თურქეთის ხელისუფლება, დღემდე გადაუჭრელი და მოუგვარებელია აღნიშნული საკითხი. სომხურ სამეცნიერო თუ პოლიტიკურ წრეებში დღესაც თვლიან, რომ თურანის იდეა დღესაც კი ანკარის საგრეო პოლიტიკის საფუძველია, ამის შესახებ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა, თურქოლოგმა რუბენ საფრასტიანმა. მისი თქმით, ,,ახლა ეს მხოლოდ საუბარია, რომელსაც თურქეთი იყენებს საგარეო პოლიტიკის ინტერესების ფარგლებში. პანთურქიზმის იდეოლოგია, როგორც ანკარის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი საფუძველი ვლინდება, მათ შორის თურქულენოვან ქვეყნებთან

სამხედრო თანამშრომლობის გაფართოებით“.[37] საფრასტიანმა დასძინა, რომ ,,პანთურქიზმი არ არის თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთადერთი იდეოლოგიური საფუძველი, ის ასევე შეიცავს პან-ისლამიზმისა და ნეოოსმანიზმის ელემენტებს“.[38] აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ სომხები გამოირჩევიან რუსეთისადმი ერთგულებით, მათი ძირითადი პოლიტიკური ხაზი ყოველთვის დაკავშირებულია რუსეთის ინტერესებთან და ნებისმიერი დაპირისპირება სასომხეთთან აღიქმება დაპირისპირებად რუსეთთან. შესაბამისად ვფიქრობთ თურქეთი არ გაამწვავებს ურთიერთობას რუსეთთან და არ დაგეგმავს რაიმე სახის პოლიტიკურ პროვოკაციას მათთან მიმართებაში. სომხეთის პოლიტიკურ წრეებში თურქეთში არსებული პანთურქული იდეოლოგიის არსებობას, თუნდაც მცირე ნაციონალისტურ წრეებში, მუდმივად აღიქვავენ საფრთხედ თავიანთი სახელმწიფოებრივი არსებობისათვის, რაც გადაჭარბებულად მიგვაჩნია.

თურქეთს სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნები სჭირდება პოლიტიკურად სტაბილური თავიანთი სავაჭრო ურთიერთობების გასაძლიერებლად და მათ ინტერესში არ ჯდება პოლიტიკურად არასტაბილური კავკასია. ერთადერთი ქვეყანა ვინც დაინტერესებულია რეგიონში არსებული კონფლიქტების მოუგვარებლობით რუსეთის ფედერაციაა. ბოლო პერიოდში რუსეთის შეჭრამ და ფართომასშტაბიანმა ომმა უკრაინაში, გარკვეულწილად ხელი შეუწყო სამხრეთ კავკასიის რეგიონში, კერძოდ აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტის მოგვარებას, რაშიც დიდ როლს თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი ასრულებს. როგორც ჩანს უახლოეს პერიოდში უნდა ველოდოთ თურქეთის და სომხეთის შერიგებას, ამის პირველი ნიშანი არის სომხეთის პრეზიდენტის ნიკოლა ფაშინიანის ვიზიტი ანკარაში ერდოღანის ინაუგურაციაზე.

---

[37] https://ge.armradio.am.2021/03/05, ტორჩიანი ნ. თურანის არმიის საკითხი შესაძლოა რეალობად იქცეს მომავალში, უკანასკნელად გადამოწმებულია 23.05.2023

[38] .https://ge.armradio.am.2021/03/05, ტორჩიანი ნ. თურანის არმიის საკითხი შესაძლოა რეალობად იქცეს მომავალში, უკანასკნელად გადამოწმებულია 23.05.2023

პანთურქული იდეოლოგიის ელემენტები მუდმივად არსებობდა და დღესაც განაგრძნობს არსებობას თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეული დოზით, მიუხედავად ამისა, თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თურქეთის გავლენის გაზრდისკენ ითვალისწინებს მხოლოდ კულტურულ-ეკონომიკური გავლენის გაძლიერებას და არანაირად არ მოიაზრება რომელიმე ამ ქვეყნის სამხედრო ექსპანსია.

თანამედროვე რეალობაში თურანის შექმნა არარეალურია, მისი შექმნის შეუძლებლობის ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი თიურქულენოვანი სამყაროს არაერთგვაროვნებაა, თუმცა პანთურქიზმის და პანთურანიზმის აღორძინების სახიფათო მოვლენა ნამდვილად არსებობს, თუმცა მოცემულ ეტაპზე მხოლოდ სურვილების დონეზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე წარმოდგენილი თემის საკვლევი კითხვების პასუხები ჩამოვაყალიბეთ შემდეგი ფორმულირებით:

1. **პირველი საკვლევი კითხვის „რას წარმოადგენს პანთურქიზმის იდეოლოგია და არის თუ არა მსგავსი თურანიზმთან?“** პასუხი მდგომარეობს შემდეგში: პანთურქიზმი არის პოლიტიკური იდეოლოგია, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ვოლგისპირეთის თათრობაში და მიზნად ისახავდა თიურქულენოვანი ხალხების გაერთიანებას ერთ დიდ, თიურქულ სახელმწიფოში. პანთურქიზმის იდეოლოგია დაფუძნებულია თურქულ კულტურაზე, თურქული მოქალაქეობის კონცეფციაზე, გრძნობებზე, განსხვავებით თურანიზმისგან, რომელიც უფრო ეფუძნება რასას, რასისტულ ნაციონალისტურ განწყობას.

2. **მეორე საკვლევი კითხვის „როგორია პანთურქიზმის პოლიტიკური განვითარების ისტორიული მომენტები და სად ვითარდებოდა მისი იდეოლოგიური ბაზისი?“** პასუხი მდგომარეობს შემდეგში: პანთურქული იდეოლოგიური მოძრაობა ჩაისახა ოსმალეთის იმპერიის საზღვრებს გარეთ, მეფის რუსეთის ტერიტორიაზე. იდეოლოგიის ფუძემდებლები იყვნენ

,,გარე თურქები“, რაც განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ოსმალეთის სულთანი აბდულ ჰამიდ II მხარს უჭერდა პანისლამიზმს, ამიტომაც პანთურქიზმის პოლიტიკური და იდეოლოგიური განვითარება მოხდა იმპერიის გარეთ.

3. **მესამე საკვლევი კითხვის ,,მოახდინა თუ არა ,,ახალგაზრდა თურქების“ რევოლუციამ ოსმალეთის იმპერიის მმართველ ელიტაში იდეოლოგიური და პოლიტიკური პარადიგმის ცვლილება?“** პასუხი მდგომარეობს შემდეგში: ,,ახლაგაზრდა თურქების“ რევოლუციას დასაწყისში დიდი ცვლილებები არ მოჰყოლია, გარკვეული იდეოლოგიური ცვლილებები უფრო ბალკანური ომების და არამუსლიმი და არათურქი მუსლიმებით დასახლებული ტერიტორიების დაკარგვამ გამოიწვია. ოსმალური სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩანაცვლება პანთურქიზმით 1913 წლიდან ,,ახალგაზრდა თურქების“ ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ იწყება.

4. **მეოთხე საკვლევი კითხვის ,,რა გავლენა შეიძლება მოახდინოს პანთურქიზმის იდეოლოგიამ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რეგიონულ უსაფრთხოებაზე?“** პასუხი მდგომარეობს შემდეგში: მოცემულ ეტაპზე პანთურქულ იდეოლოგიას არ შეუძლია საფრთხე შეუქმნას სამხრეთ კავკასიის რეგიონს, იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ მას დღევანდელ თურქულ პოლიტიკურ ელიტაში არ ჰყავს საკმარისი მხარდამჭერი. ამასთანავე რეგიონთან მიმართებაში არსებობს სხვა დიდი პოლიტიკური აქტორების ინტერესები. შესაბამისად თურქულ ჰეგემონობას ამ რეგიონში არ დაუშვებენ ეს სახელმწიფოები.

5. **მეხუთე საკვლევი კითხვის ,,არის თუ არა პანთურქიზმი თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელი იდეოლოგია?“** პასუხი მდგომარეობს შემდეგში: მიუხედავად იმისა, რომ მუსტაფა ქემალ ათათურქმა ოფიციალურად უარი განაცხადა პანთურქიზმის იდეოლოგიაზე, თურქეთის რესპუბლიკის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, თურქულ ნაციონალურ წრეებში და მთავრობაში, მცირე ჯგუფების და მომხრეების სახით, ყოველთვის იყვნენ მისი მხარდამჭერები, ძირითადად პოპულიზმის დონეზე, მაგრამ არა იმ რაოდენობით რომელთაც შეეძლოთ

გავლენა მოეხდინათ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კურსზე. შეუძლებელია პანთურქულმა იდეოლოგიამ განსაზღვროს თურქეთის პოლიტიკური დღის წესრიგი, შესაბამისად არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ ის იქცეს სახელმწიფო იდეოლოგიად. თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკაში პანთურქული იდეოლოგია მხოლოდ მარგინალურ ნაციონალურ წრეებშია პოპულარული და მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის არის განკუთვნილი. თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკა არ ემყარება პანთურქულ იდეოლოგიას. პანთურქიზმი არის მხოლოდ თურქი ნაციონალისტების პოლიტიკის გარკვეული ნაწილი. თურქეთში არსებობს თანამედროვე ე.წ. ზომიერი ისლამი, რომლის მთავარი მიზანს წარმოადგენს ისლამურ სამყაროზე თურქეთის ლიდერობა, თუნდაც შუა აღმოსავლეთში, რაც გამოიხატება ეგვიპტისა და სირიის ისლამისტების მხარდაჭერაში, თუმცა ამ შემთხვევაშიც ეს მხოლოდ ოცნებაა და მას განხორციელება არ უწერია.

ჩატარებული კვლევის შედეგად დავადასტურეთ **ჰიპოთეზა (H1),** პანთურქიზმი ვითარდებოდა როგორც იდეოლოგიური მოძრაობა და მისი ისტორიული გენეზისის ფაქტორიდან გამომდინარე გამოიწვია ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაცია, რამაც გავლენა იქონია იმპერიის გეოპოლიტიკურ პრიორიტეტებზე.

რაც შეეხება **ჰიპოთეზა (H2)** მისი დადასტურება არ მოხდა, ვინაიდან თანამედროვე თურქეთის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში პანთურქული იდეოლოგიის გაძლიერების არანაირი მტკიცებულება არ არსებობს, პანთურქიზმი არ არის თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური დღის წესრიგის განმსაზღვრავი იდეოლოგია და შესაბამისად ის არ წარმოადგენს საფრთხეს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის.

დასკვნა

პანთურქიზმის იდეოლოგიური მოძრაობა მე-19-ე საუკუნის ბოლოს და მე-20-ე საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა ასპარეზზე გარკვეული

პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პროცესების პირას მყოფი ოსმალეთის იმპერიის და ქვეყნის განადგურებისგან გადასარჩენად. იდეოლოგიას საფუძველი ჩაეყარა რუსეთის იმპერიის თათრობაში ეროვნულ გამოღვიძებასთან ერთად. ის იყო კავკასიის, ვოლგა-ურალის რეგიონის, ყირიმის, ახლო აღმოსავლეთის და ცენტრალური აზიის ყველა თიურქულენოვანი ხალხის დიდი თურქული სახელმწიფოს სახურავის ქვეშ გაერთიანების იდეა. სწორედ ვოლგისპირეთისა და ყირიმის თათარმა ინტელექტუალებმა ჩაუყარეს საფუძველი იდეოლოგიის თეორიას. პანთურქიზმის ელემენტები თავდაპირველად გამოვლინდა კულტურულ სფეროში, დღის წესრიგში დადგა თიურქი ინტელექტუალების მიერ, რომლებიც თვლიდნენ, რომ სასიკეთო შედეგს ვერ გამოიღებდა ოსმანიზმი და ისლამიზმი, რომელიც მხოლოდ იმპერიის გადარჩენაზე ზრუნავდა.

პანთურქული იდეოლოგიის ფუძემდებლები იყვნენ ყირიმელი თათარ-განმანათლებელი, პოლიტიკოსი და პუბლიცისტი ისმაილ გასპირალი, სიბირსკელი თათარ-განმანათლებელი იუსუფ აქჩურა, აზერბაიჯანელი ინტელექტუალი და ამიერკავკასიის შეიხ-ულ-ისლამი ალი ბეგ ჰუსეინ ოღლი ჰუსეინზადე და სხვები. სწორედ მათ მოძღვრებებში იყო წარმოდგენილი თიურქული წარმოშობის ხალხების გაერთიანების იდეა ერთიან თურქულ სახელმწიფოში.

პანთურქიზმის მიმდევართა აზრით თიურქ ხალხებს აქვთ გარკვეული მახასიათებლები, როგორიცაა მონათესავე ენები, აღქმული საერთო წინაპრები, ისტორია და კულტურული ტრადიციები. დაახლოებით 1900-იან წლებში პანთურქიზმი ჩამოყალიბდა პოლიტიკურ მოძრაობად.

XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან ოსმალეთის იმპერიაში იწყება ე. წ. ,,ვესტერნიზაცია," თუმცა ინტელექტუალებს შორის კვლავ გრძელდებოდა კამათი პანისლამის, ოსმანიზმისა და პანთურქიზმის მნიშვნელობასა და პოლიტიკური უპირატესობების შესახებ.

მე-20 საუკუნის დასაწყისში პანთურქიზმმა მოიპოვა პოლიტიკური საფუძველი. გაიზარდა ოსმალური თურქულისადმი ინტერესი ძირითადად

,,გარე თურქებში“. ეს ინტერესი იმდენად მზარდი აღმოჩნდა, რომ ტერმინები ,,პანთურქიზმი“ და ,,თურანიზმი“ ურთიერთშენაცვლებადი გახდა.

,,პანთურქიზმისგან“ განსხვავებით ,,თურანიზმის“ გეოგრაფიული ფარგლები უფრო დიდი იყო. მარტივად რომ ვთქვათ, ,,თურანული“ იდეალი შემუშავებული იქნა უნგრელი ინტელექტუალების მიერ, რომელთა მიზანს წარმოადგენდა ევროპაში ევროპული ქვეყნების წინააღმდეგ არსებობა და ამ არსებობის ლეგიტიმაცია ცენტრალურ აზიაში - ისტორიულ წიაღში დაბრუნებით. ის იყო იდეურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომლის უმთავრესი მიზანი თურანული ხალხების გაერთიანება იყო. ,,პანთურქისტები“ კი ორიენტირებულნი იყვნენ მხოლოდ თიურქულ ეთნოსზე.

მიუხედავად ტერმინების აღრევისა, თურქისტული დამცველების მთავარი მნიშვნელოვანი ქმედება იყო არსებული ნაციონალიზმის პრობლემების ოსმალეთის იმპერიის მკითხველთა მთელი თაობისთვის გაცნობა.

რწმენა ოსმალების და აღმოსავლეთ თიურქების იდენტური ერთიანობისა და ამ უკანასკნელთა მხარდაჭერა თვითგამორკვევის გზაზე, იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იმ მრავალ პრინციპთაგან, რომელსაც მისდევდა პანთურქიზმი.

ახალმა XIX საუკუნემ ერების თვითგამორკვევას ჩაუყარა საფუძველი, რაც გახდა იმპერიის ქვეშევრდომი ქვეყნების დამოუკიდებლობის საწინდარი.

ოსამალეთის იმპერიის ქვეშევრდომი აღმოსავლეთის სახელმწიფოები ერთმანეთის მიყოლებით აცხადებდნენ დამოუკიდებლობას. დასუსტებულ, ღრმა ფეოდალურ ჭაობში ჩაფლულ სულთნის ხელისუფლებას კი არ შესწევდა ძალა შეეჩერებინა იმპერიის რღვევა. ერთ დროს უძლიერესი იმპერია განვითარების დაბალი დონით ბევრად ჩამორჩებოდა ევროპულ ქვეყნებს. მაშინ როცა ევროპული სახელმწიფოები მრეწველობის

განვითარებით მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოებს ქმნიდნენ, ფეოდალური ოსმალეთი კვლავ დაბალი განვითარების აგრარულ ქვეყანად რჩებოდა. ,,მოდერნიზაციაზე გათვლილი ერთგვარი რეფორმების მიუხედავად XX საუკუნის დასაწყისში ოსმალეთი ევროპაში ყველაზე ჩამორჩენილ სახელმწიფოდ რჩებოდა."[39] ,,XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან თურქეთის შემდგომი განვითარება სულ უფრო და უფრო მეტად ემორჩილებოდა უცხოეთის კაპიტალის ინტერესებს... თურქეთი ხდებოდა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ნედლეულის წყარო და აგრარული დანამატი".[40] ,,ეკონომიკური დამორჩილება კი თავისთავად იწვევდა პოლიტიკურ დამონებასაც. ამასთან ერთად თურქების მიერ ბალკანეთის დამონებულ ხალხებში მიმდინარეობდა მძლავრი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა"[41] თავად თურქები, რომლებმაც იარაღის ძალით შეძლეს და დაიპყრეს აღმოსავლეთ ევროპის განვითარებული ხალხები და შეუერთეს თავიანთ ვრცელ იმპერიას ,,ჯერ კიდევ არ იქცნენ ერად და წარმოადგენდნენ იმპერიის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ელემენტს".[42]

,,იმპერიაში გაბატონებული ერის კულტურული და ეკონომიკური ჩამორჩენილობა ხელს აძლევდა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკარნახათ მისთვის თავისი სურვილები. სამი წლის მანძილზე (1838-1841) ევროპის 14 ქვეყანამ ოსმალეთთან გააფორმა კაბალურ-კაპიტულანტური ხელშეკრულებები".[43] მაშინ როცა ,,თურქეთი ,,თანზიმათ ჰაირიესაგან" ელოდებოდა მდგომარეობის გამოსწორებას, ევროპის ყველა ქვეყანა

[39] გაჩეჩილაძე რ. საქართველო რეგიონულ კონტექსტში, თბილისი, 2023, გვ. 243
[40] გიგინეიშვილი ო. თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბილისი, 1963, გვ.13
[41] მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი), კრებული, დათუნაშვილი ი. კავკასიაში მუჰაჯირული მოძრაობის წარმოშობის რელიგიური ფაქტორი (XIXს-ის II ნახევარი),თბილისი, 1989, გვ.7
[42] გიგინეიშვილი ო. დასახ. ნაშრ. გვ.13
[43] მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი), კრებული, დათუნაშვილი ი. კავკასიაში მუჰაჯირული მოძრაობის წარმოშობის რელიგიური ფაქტორები (XIX ს-ის II ნახევარი), თბილისი, 1989, გვ.8

მოაწყდა ავადმყოფ ადამიანს, რათა რაც შეიძლება დიდი ლუკმა გამოეგლიჯათ მისგან“.[44]

ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ოსმალეთი აღმოჩნდა მეტად წამგებიან პოზიციაში მსოფლიოს ახალი გადანაწილების პროცესში.

ასეთი შინაგანი კრიზისის პირობებში იმპერიაში დაიწყო პოლიტიკური ჯგუფების დაპირისპირება სულთნის ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც საბოლოოდ 1908 წელს ,,ახალგაზრდა თურქების“ რევოლუციით დასრულდა. ,,ახალგაზრდა თურქების“ უმთავრესი სურვილი იყო ლიბერალური რეფორმების გზით სახელმწიფოს კონსტიტუციური მოწყობა.

ახალგაზრდა ოსმალები იყვნენ პირველი თურქი ინტელიგენტები, ვის შორისაც ჩაისახა ეროვნული თვითშგნების პირველი ელემენტები. ორგანიზაციის ლიდერების ნამიქ ქემალის,[45] იბრაჰიმ შინასის[46] და სხვათა მიზანი იყო თურქული ნაციონალიზმის აღორძინება ქვეყნის მოდერნიზაციით და ვესტერნიზაციით. დევნის და სამშობლოდან გასახლების მიუხედავად ჯგუფის წევრები უშიშრად ჩაუდგნენ სათავეში კონსტიტუციურ მოძრაობას ოსმალეთში. დასავლეთით მათი აღფრთოვანების მიუხედავად, ,,თავისუფლება“ და ,,მამული“ მათთვის პირველ რიგში კვლავ მუსლიმურ ღირებულებებზე დაფუძნებული საზოგადოების თავისუფლებას და უპირატესად, მუსლიმი მოსახლეობის სამშობლოს გულისხმობდა, სადაც დაცული იქნებოდა სხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების უფლებები“.[47]

,,ოსმანიზმის პროპაგანდისთვის ,,ახალგაზრდა თურქებმა“ ბევრი რამ გააკეთეს. მრავალრიცხოვანი კლუბების და ოსმალური

---

[44] İsmail C. Türkieyde geri Kalmisliğin tarihi, İstanbul, 1977, s. 240-241

[45] ნამიქ ქემალი, 1840-1888, თურქი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ახალგაზრდა ოსმალთა საზოგადოების მოთავე და ორგანიზატორი

[46] იბრაჰიმ შინასი, 1826-1871, თურქი განმანათლებელი, მწერალი, ახალი თურქული ლიტერატურის ფუძემდებელი, თანზიმათის პერიოდის ლიტერატურის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი

[47] Lewis B. The Middle East and the West. Bloomington: Indiana University Press, 1967, p.141

დაწესებულებების საშუალებით ნერგავდნენ აზრს, რომ სულთნის ყველა ქვეშევრდომი ოსმალოა, მაგრამ მთელ ამ პროპაგანდაში ისე აშკარად გამოსჭვიოდა ოსმანიზმის ნამდვილი მიზანი - უზრუნველეყო თურქების პრიორიტეტი იმპერიაში და ერთეროვნების საბაბით იმპერიის ყველა ხალხებისათვის თავს მოეხვია თურქული ენა და თურქული კულტურა".[48] მიუხედავად ამისა ბალკანეთის 1912-1913 წლების ომებმა დაამტკიცა, რომ ,,ყოველ ერს ოსმალეთში საკუთარი მიზნები გააჩნდა ეს კი მათ მიერ ოსმანიზმის უარყოფას იწვევდა".[49] ,,ახალგაზრდა თურქებმა" კარგად გაითავისეს, რომ ოსმანიზმნის გამოყენება იმპერიის ხალხების დასამონებლად აღარ გამოადგებოდათ.

1908-1913 წლის მოვლენებმა ცხადყო, რომ არათურქი მოსახლეობის ,,ოსმანიზაციის" პოლიტიკის გატარება ძალის გამოყენებით უკვე შეუძლებელი იყო. ეპკ-ს დეკლარირებული პატრიოტული მიზანი იმპერიის ტერიტორიების შენარჩუნების საქმეში გადაულახავი წინააღმდეგობა აღმოჩნდა. იმპერიის ერთიანობის და ძლიერების შენარჩუნებისათვის ხელისუფლებაში მოსული ,,ახალგაზრდა თურქების" მმართველობის წლებში იმპერიამ ყველაზე დიდი ტერიტორიები დაკარგა.

,,ახალგაზრდა თურქების" მმართველობის პირველი წლები არ გამოირჩევა რაიმე განსაკუთრებული ქმედებებით, ისინი უფრო ხელისუფლების კონტროლით იყვნენ დაკავებულნი, ხოლო 1913 წლიდან კი ,,ახალგაზრდა თურქების" პოლიტიკური პარტიის ეპკ-ს რეჟიმი უფრო რეპრესიულ ხასიათს იძენდა. მაგრამ მაინც, ის იყო რეფორმატორული მოძრაობა.

ხელისუფლებაში მსოვლისთანავე ,,ახალგაზრდა თურქებმა" შეზღუდეს სულთნის ძალაუფლება. მართვის სადავეები გადავიდა ე.წ. ,,ტრიუმვირატის ხელში", რომელთა შორის ლიდერი უდაოდ ენვერ ფაშა იყო. სწორედ ენვერ ფაშა იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც მომაკვდავი იმპერიის გადარჩენის გზას ,,დიდი თურანის" შექმნაში ხედავდა. ის იყო

[48] გიგინეიშვილი ო. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, თბილისი, 1982, გვ.117
[49] გიგინეიშვილი ო. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, თბილისი, 1982, გვ. 117

ფანატიკოსი პანთურქი, ხვდებოდა რომ ,,დიდი თურანის“ შექმნისთვის მას სჭირდებოდა მოკავშირე, თავისი გამორჩეული გერმანოფილობიდან გამომდინარე სწორედ გერმანია შეარჩია მან მოკავშირედ. მისი გადაწყვეტილებით ჩაერთო ოსმალეთი პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მხარეს, რაც უმძიმესი შედეგებით დასრულდა დამარცხებული იმპერიისთვის.

პირველ მსოფლიო ომამდე და მის დროს, თურქული წარმოშობის ხალხის დიდი ნაწილი მოქცეულნი იყვნენ მეფის რუსეთის რეჟიმის ქვეშ, ამიტომაც პანთურქიზმი თამაშობდა მნიშვნელოვან როლს რუსეთის წინააღმდეგ ოსმალური და გერმანული პროპაგანდის კამპანიაში.

პირველი მსოფლიო ომის დროს პანთურქიზმს მიეცა ისტორიული შესაძლებლობა გამხდარიყო სახელმძღვანელო პრინციპი სახელმწიფო პოლიტიკისათვის. პანთურქიზმმა შეძლო მთლიანად ჩაენაცვლებინა სხვა, კარგად ჩამოყალიბებული სახელმწიფო იდეოლოგიები და მსოფლმხედველობა. მართალია მას საფუძველი მეცხრამეტე საუკუნეში ჩაეყარა, მაგრამ სწორედ მეოცე საუკუნეში და კერძოდ, პირველი მსოფლიო ომის წლებიდან დაიწყო მისი განვითარება, რასაც ხელი შეუწყო ოსმალეთის იმპერიის მთავრობამ. ოსამალეთის იმპერიის სოციალურმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა თავისებურებებმა განაპირობა ის, რომ პანთურქიზმი გახდა ერთადერთი იდეოლოგია, რომელიც განიხილებოდა ოსმალეთის იმპერიაში.

ომში მარცხის შემდეგ ორი ტენდეცია გამოიკვეთა იმპერიაში, ერთი ენვერ ფაშასა და მისი მომხრე პანთურქისტების პოზიცია, რომ უნდა გაგრძელებულიყო ბრძოლა ,,დიდი თურანის“ შექმნისათვის, სწამდათ იდეის- როგორც პანთურქისტი იდეოლოგი მეჰმედ ზია გოკალპი ამბობდა - ,,თურანი ჩვენს მოლოდინშია. კაიროდან ბათუმამდე, ინდოეთსა და ავღანეთამდე ჩვენ გველოდებიან“.[50] მეორე ტენდენციის მიმდევარნი კი

[50] Gökalp Z. Turkish Nationalism and Western Civilization, Translated and edited an introduced by Niyazi Berkes; New-York, 1959, ქართული თარგმანი და რეცენზია დაურთო რევაზ გაჩეჩილაძემ, ორიენტალისტიკა, თბილისი, 1965

თვლიდნენ, რომ იმპერიის აღსასრული დადგა და საჭირო იყო შენარჩუნებულ ტერიტორიებზე ახალი, იმპერიული ამბიციებისგან დაცლილი სახელმწიფოს შექმნა და შენება. სწორედ ამ უკანასკნელი პოზიციის ირგვლივ, პატრიოტიზმზე აპელირებით ქვეყანაში დაიწყო დამოუკიდებლობისათვის ომი, რაც ახალი თურქული სახელმწიფოს შექმნით დასრულდა.

მიუხედავად ყველაფრისა პანთურქიზმმა ვერ შეუშალა ხელი ოსმალეთის იმპერიის დაშლას. თურქული ნაციონალიზმი, რომელმაც ხელი შუწყო შენარჩუნებულ ტერიტორიებზე დამოუკიდებელი თურქული სახელმწიფოს შექმნას, იღებს განსხვავებულ სახეს და რადიკალურად განსხვავდება ოსმალეთის იმპერიის პერიოდში წარმოშობილი ნაციონალიზმისაგან.

თურქულ-თურანული ნაციონალიზმი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა, როგორც იმპერიის გადარჩენის საშუალება, რაც შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი იყოს მისი აღზევების და დომინანტური იდეოლოგიური პოზიციისათვის, რომელიც მას ოსმალეთის იმპერიაში ეკავა.

ნაციონალიზმმა გავლენა მოახდინა ოსმალეთის თურქებზე უფრო გვიან, ვიდრე სხვა ევროპულ და ბალკანურ ერებზე. თურქების პოლიტიკურმა მდგომარეობამ, მათმა კულტურამ და რელიგიამ განაპირობა ის, რომ ნაციონალისტური აზროვნება თურქებში გვიან მოვიდა, ოსმალ თურქებს არ სჭირდებოდათ ნაციონალიზმი. მათ დაარსეს ოსმალეთის იმპერია და ისინი იყვნენ იმპერიის ბირთვი. ეთნიკური თურქები ცდილობდნენ იმპერიის გადარჩენას მრავალეთნიკური ოსმალეთის საზოგადოების შექმნით, ნაციონალიზმი არანაირად არ არსებობდა მუსლიმ თურქებს შორის. ფიქრობდნენ, რომ ნაციონალიზმი დააჩქარებდა ოსმალეთის იმპერიის დაშლას. ,,ოსმალეთის სახელმწიფოში, სადაც თანაცხოვრობდა 18 ეთნიკური ჯგუფი, რომლებიც სხვადასხვა კონფესიებს მიეკუთვნებოდნენ, არ არსებობდა ნაციონალიზმი - ამ სიტყვის სრული

გაგებით, რელიგიური თემის პარალელურად ეროვნული საკითხის წამოწევა დაწყებული იქნა ,,ახალგაზრდა ოსმალთა " და ,,ახალგაზრდა თურქთა" მიერ".[51]

ოსმალეთის იმპერიაში მძლავრობდა სამი ძირითადი იდეოლოგია, ოსმანიზმი, ისლამიზიმი და თურქიზმი. ოსმანიზმი მხარ უჭერდა სახელმწიფოს მუსლიმი და არამუსლიმი მოქალაქეების თანასწორობას; ისლამიზმი მომხრე იყო ოსმალეთის მთავრობის ქვეშ ყველა მუსლიმის გაერთიანების, თურქიზმი კი ამტკიცებდა თურქული ელემენტის ბატონობას, რაც იყო სახელმწიფოს გადარჩენის უზრუნველსაყოფად ყველაზე ხელსაყრელი გზა, რადგანაც ის მიაღწევდა თურქი ხალხის გაერთიანებას აზიის და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონებში, რომელთა ენები, რასა, ტრადიციები და რელიგიები საერთო იყო, რაც უზრუნველყოფდა დიდი თურქული ერის შექმნას.

თურქული ნაციონალიზმი თავდაპირველად განვითარდა როგორც იდეოლოგია ელიტებში, ინტელექტუალებსა და ჟურნალებში 1908 წლის კონსტიტუციური რეჟიმის გამოცხადების შემდეგ. მისი, როგორც დომინანტური იდეოლოგიის აღზევება დაემთხვა 1912-1913 წლებში ოსმალეთის მარცხს ბაკლანეთში. სწორედ ბალკანეთის ომში მარცხმა განაპირობა ოსმალეთის იმპერიის ძირითადი იდეოლოგიების ოსმანიზმის და ისლამიზმის გავლენის შემცირება.

თურქულ-თურანისტულმა ნაციონალიზმმა წარმოშობაზე დაფუძნებული ნაციონალიზმი წარმოაჩინა პრობლემის მოგვარების მთავარ კრიტერიუმად. მიდგომა, რომელზედაც აგებულია თურქულ-თურანული ნაციონალიზმი, არის კონცეფცია, რომელიც გულისხმობს, ეთნიკურად თურქულ წარმომავლობას, თურქ რასას.

პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერიის მარცხის და შემდგომ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პირობებში ჩამოყალიბდა

[51] მაკარიძე ე. თურქეთის ისტორია 1918-2017 წლები, სალექციო ჩანაწერი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი 2019 წელი, გვ. 50

ახლი იდეოლოგიური მიმდინარეობა - ქემალიზმი. ,,ქემალიზმის ერთ-ერთი ქვაკუთხედი ნაციონალიზმია, რომელიც თურქეთში ოფიციალური პოლიტიკის რანგში არის აყვანილი და დაფიქსირებულია კონსტიტუციაში ,,ათათურქისეული ნაციონალიზმის“ სახელით“.[52]

ოფიციალურ ქემალისტური ნაციონალიზმის თეზისი, რომელსაც იყენებს დასავლურ-სეკულარული თურქული იდენტობის ასაგებად, გეოგრაფიულად მოიცავს ანატოლიის რეგიონს, სამოქალაქო ნაციონალიზმი ეყრდნობა კონსტიტუციით განსაზღვრულ მოქალაქობას და ამავდროულად, დევიზი „მშვიდობა სახლში, მშვიდობა მსოფლიოში“ რომელიც წარმოადგენს თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად ცნებას, იმსახურებს თურქისტ-თურანისტების ყველაზე დიდ კრიტიკას.

ნაციონალიზმის თურქისტულ-თურანისტურმა გაგებამ, ნაციონალიზმის ქემალისტური იდეების კრიტიკა ნაციონალისტურ ხედვად გარდაქმნა და ითვლება, რომ ამ იდეოლოგიის გავლენა ჯერ კიდევ შეიმჩნევა სოციალურ და პოლიტიკურ სფეროზე.

თურქულ-თურანული ნაციონალიზმის ზოგადი ჩარჩოს ჩამოყალიბებისას შეგვიძლია დავასახელოთ რომ: იდენტობის გაგება ემყარება ეთნიკურ-რასობრივ საფუძველს, გააჩნიათ დასავლური სტილის მოდერნიზაციაზე დამყარებული, რელიგიურად სეკულარული გაგება, მაგრამ არა ისეთი ხისტი, როგორიც ქემალიზმს. ყველა ამ მახასიათებლით, თურქულ თურანიზმს განსაკუთრებული ადგილი უკავია თურქული ნაციონალიზმის სხვა სახეობებს შორის.

რესპუბლიკური პრინციპებით და მკაცრი სეკულარიზმით ახლად შექმნილი თურქული რესპუბლიკა ყოველნაირად ცდილობდა მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების დარეგულირებას, ამიტომაც უარი თქვა პათურქულ პროპაგანდაზე. მართალია ქვეყნის გარეთ რამდენიმე პანთურქული ორგანიზაცია

[52] მაკარაძე ე. თურქეთის ისტორია 1918-2017 წლები, სალექციო ჩანაწერი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი 2019 წელი, გვ.49

აგრძელებდა საქმიანობას, მაგრამ არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ თურქეთის ხელისუფლება მათ რაიმე გზით მფარველობდა და ხელს უწყობდა.

მეორე მსოფლიო ომში თურქეთი ინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს. ევროპის დიდი ნაწილზე გერმანიის გავლენის გაფართოების და საბჭოთა კავშირის მტრული დამოკიდებულებიდან გამომდინარე, თურქეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ თავიდან აერიდებინათ 1914 წლის ოქტომბრის საბედისწერო გადაწყვეტილება ომში ჩაბმის შესახებ და ამასთანავე, არაფერი მოემოქმედათ ისეთი, რაც გამოიწვევდა გერმანიის პროვოცირებას, რაც უეჭველად თურქეთის გერმანიის მხრიდან დაპყრობით დასრულდებოდა. ამიტომაც 1940 წლის ივნისში თურქეთმა ოფიციალურად განაცხადა უარი ეთქვათ 1939 წლის 23[53] ივნისის ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულებაზე ბრიტანეთის მხარეზე ომში ჩაბმის შესახებ.

დიდი ბრიტანეთის არაერთი მცდელოებისა ჩაერთო თურქეთი ომში წარუმატებელი აღმოჩნდა. 1943 წლის დეკემბერში კაიროში შეხვედრაზე, როცა უკვე გარდაუვალი იყო გერმანიის მარცხი ამ ომში, მოკავშირეებმა ისმეთ ინონუს აგრძნობინეს, რომ მოკავშირეთა მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ომის შემდეგ, თურქეთი იქნებოდა სრულ იზოლაციაში. მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ნათელი გახდა ამ ომში გერმანიის მარცხი, 1944 წლის აგვისტოში თურქეთმა გაწყვიტა გერმანისათან დიპლომატიური ურთიერთობა და 1945 წლის 23 თებერვალს ფორმალურად ომი გამოუცხადა მას.[54]

მეორე მსოფლიო ომის პირველ პერიოდში, როცა გამარჯვება ჯერ მხოლოდ გერმანელების მხარეს იყო, თურქეთში თანდათან იწყებს

---

[53] 1939 წ.23 ივნისს საფრანგეთთან და დიდ ბრიტანეთთან ალიანსის ხელშეკრულების სანაცვლოდ, ალექსანდრეტას სანჯაყი სრული ანექსიის უფლება მიიღო თურქეთმა და სანჯაყი ჩამოერთვა სირიას

[54] ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIXს. - XXI ს-ის დასაწყისი) კრებული, სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. IX თავი, სანიკიძე გ. II მსოფლიო ომი და ახლო აღმოსავლეთი, თბილისი, 2011. გვ.248

აღორძინებას პანთურქული პროპაგანდა. გერმანელთა მხარდაჭერით 1941 წელს პანთურქული კომიტეტიც კი შეიქმნა და მინისტრთა კაბინეტში რამდენიმე პანთურქიზმისადმი კეთილად განწყობილი მინისტრიც კი შეიყვანეს. ყველაფერი ემსახურებოდა ომში გერმანიის შესაძლო გამარჯვების შემთხვევაში თავის დაზღვევას, თუმცა როგორც კი გერმანიის მარცხი გარდაუვალი გახდა, 1944 წლის მაისიდან ყველა პანთურქისტული ორგანიზაციის მოღვაწეობა და ზოგადად პანთურქული პროპაგანდა აიკრძალა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების და ,,ცივი ომის“ დაწყების შემდეგ გართულდა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. კერძოდ, საბჭოთა მთავრობამ დღის წესრიგში დააყენა სრუტეების საკითხი და მოითხოვა მონტრეს კონვენციის გადხედვა.

მონტრეს კონვენციის გადახედვა და გაუმჯობესება საბჭოთა ხელისუფლებისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო იმ ფაქტის გამო, რომ როგორც აღვნიშნეთ ეს კონვენცია აწესრიგებდა სრუტეების რეჟიმს. ამასთან საბჭოთა ხელისუფლების ინტერესის სფეროს წარმოადგენდა თურქეთთან საზღვრის ცვლილება და თურქეთისა და ბრიტანეთის კავშირების შესუსტება. საბჭოთა ბაზის დარდანელის სრუტეში გახსნის აუცილებლობას მოლოტოვი ამყარებდა იმ არგუმენტებით, რომ თურქეთს არ შეეძლო მისი სრულყოფილად დაცვა, ვინაიდან მას ამის საკმაო ძალა არ გააჩნდა.

საბჭოთა კავშირის გეგმის ნაწილს შეადგენდა პოზიციების გამყარება აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზში და ახლო აღმოსავლეთში, სწორედ ამისათვის სურდათ მონტრეს კონვენციის გადასინჯვა. ბაზების შექმნა დარდანელის სრუტეში რეგიონში საბჭოთა კავშირის გავლენების ზრდის გარანტს და დიდი ბრიტანეთის სანავთობო მრეწველობისთვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა. თუ დიდი ბრიტანეთი დაიშლებოდა, საბჭოთა კავშირის ჰეგემონობას ევრაზიაში წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა.

სრუტეების საკითხი უმნიშვნელოვანესი იყო მოკავშირეებისთვისაც. ,,ცივი ომის“ დაწყების შემდეგ თურქეთი და აშშ მოითხოვდნენ, რომ

სრუტეები ღია ყოფილიყო როგორც სავაჭრო, ისე სამხედრო გემებისთვის ანუ უნდა ყოფილიყო საერთაშორისო საწყლოსნო გზა, რაც ცხადია საშუალებას აძლევდა ამერიკულ გემებს უპრობლემოდ შესულიყვნენ სრუტეებში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თუ სტალინი უარს განაცხადებდა სრუტეებზე, მოკავშირეები თვალს დახუჭავდნენ თურქეთის საზღვრების გადასინჯვაზე, მაგრამ დასავლეთის და პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების შემდგომი პოლიტიკური ნაბიჯები მთლიანად თურქეთის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისკენ იყო მიმართული.

თურქეთი ნატო-ს ერთადერთი წევრი ქვეყანა გახდა, რომელსაც საზღვარი აკავშირებდა საბჭოთა კავშირთან. ამასთანავე ეს იყო ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი და შესაბამისად მნიშვნელოვანი პლაცდარმი ევროპისა და ამერიკისთვის. ,,საბჭოთა კავშირთან მოსაზღვრეობის გამო ის წარმოადგენდა სტრატეგიული მნიშვნელობის პლაცდარმს აღმოსავლეთიდან საფრთხის პირობებში დასავლეთის დასაცავად. ის განიხილებოდა, როგორც ნატოს სამხრეთის ფრონტი საბჭოთა აგრესიის თავდაცვის სისტემაში“.[55] თავის მხრივ თურქეთისთვისაც უმნიშვნელოვანესი იყო ეს კავშირი, ვინაიდან ნატო-ს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობით თურქეთმა თავი დაიცვა საბჭოთა ექსპანსიისაგან.

,,ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ხელისუფლებების ცვლილებების მუხედავად გარკვეულწილად უცვლელი რჩებოდა საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები. ცვლილებები თურქეთის საგარეო პოლიტიკურ კურსში ხელისუფლებაში თურგუთ ოზალის და დედასამშობლოს პარტიის მოსვლის შემდეგ შეინიშნება, რაც მიმართული იყო ბალკანეთის, კავკასიის და ზოგადად თიურქიულ სახელმწიფოებზე გავლენების გაძლიერებისკენ, სწორედ ამ პერიოდიდან ჩნდება თურქულ პოლიტიკაში ტერმინი ,,ნეოოსმანიზმი“. უნდა ითქვას, რომ თურგუთ ოზალის დოქტრინა თურქეთის გეოპოლიტიკური გავლენის ზრდასთან დაკავშირებით

[55] ბერიძე ზ. თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობა XX საუკუნის 90-იან წლებში, ბათუმი, 2019 , გვ.25

რომელიც მიმართული იყო მეზობელ და ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნების თურქეთის გავლენის გაზრდისკენ, ითვალისწინებდა მხოლოდ კულტურულ-ეკონომიკური გავლენის გაძლიერებას და არანაირად არ მოიაზრებოდა რომელიმე ამ ქვეყნის სამხედრო ექსპანსია.

,,XX საუკუნის ბოლოს თურქეთში გაჩნდა ევრაზიულობის გეოპოლიტიკური კონცეფცია, რომ თურქეთი - ესაა გეოგრაფიულად ევრაზიის ცენტრალური ქვეყანა, მოწოდებული იმისათვის, რომ გაავრცელოს ტრანსკონტინენტური გავლენები. თურქეთი თავის თავს ხედავდა ,,ღერძულ ქვეყანად", როგორც ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, მასტაბილიზებელი ძალა თავის საზღვრებთან".[56] საგარეო პოლიტიკის გადახალისების მიზნით თურქეთმა სცადა თავისი საზღვრების პერიმეტრზე შეექმნა ,,მეგობრული სახელმწიფოების რკალი", მისი დევიზი იყო ,,ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან". ამ დევიზის ავტორი გახლდათ პროფესორი აჰმეთ დავუთოღლუ, თურქეთის პრემიერ-მინისტრის მრჩეველი და მოგვიანებით პრემიერ-მინისტრი.

2001 წელს დავუთოღლუმ გამოქვეყნა წიგნი ,,სტარეტეგიული სიღრმე", სადაც ჩამოაყალიბა თურქეთის გეოპოლიტიკური თეორია. ამ თეორიის მთავარი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ თურქეთს შეუძლია გახდეს ცენტრალური ქვეყანა ძალაუფლების კონცენტრირებულ წრეებში, ნაცვლად ნატო-ს აღმოსავლეთის ფლანგის ქვეყნისა. ეს კონცენტრირებული წრეები იყვნენ ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკის, ბალკანეთის, კავკასიის ქვეყნები, რომლებიც თურქეთისთვის ქმნიდნენ ,,სტრატეგიულ სიღრმეს". გამომდინარე იქიდან, რომ ეს ტერიტორიები ოსმალეთის იმპერიის ყოფილი ქვეშევრდომი ქვეყნები იყვნენ, დავუთოღლუს გეოპოლიტიკური თეორია აღქმული იქნა როგორც ,,ნეოოსმანიზმი".

,,დავუთოღლუ გადჭრით უარყოფდა მისი თეორიისთვის ,,ნეო-ოსმანიზმის" კლიშეს მიკერების ლოგიკას, მაგრამ 2009 წელს მან

[56] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი, გეოპოლიტიკა, ტ.II, თბილისი, 2019, გვ. 121

დასაშვებად მიიჩნია ტერმინ Pax Ottoman-ს გამოყენება თურქეთის მიმდებარე ქვეყნების მიმართ. დავუთოღლუს ,,სტარეტეგიული სიღრმე“ არ გულისხმობდა თურქეთის ტერიტორიულ ექსპანსიას, არამედ მისი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მკვეთრ გაზრდას ,,პოსტოსმალურ სივრცეში“, იქ ანკარის ,,სიტყვის საბოლოობას“.[57]

დავუთოღლუს ამ იდეის განხორციელება შეუძლებელია, რადგან რეგიონთან მიმართებაში არსებობს სხვა ძალების ინტერესებიც და ისინი არანაირად არ არიან თანხვედრაში ანკარის ინტერესებთან.

შეიძლება თუ არა თურქეთის გეოპოლიტიკა მეზობელი ქვეყნისთვის საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს? მაგალითად ავიღოთ საქართველო.

1988 წელს საქართველო თურქეთის საზღვარის გახსნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა დამოუკიდებლობის პირველ წლებში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისთვის. ერთ-ერთი პირველი ვინც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა იყო თურქეთი. დამოუკიდებლობის აღიარება მოხდა 1991 წლის 16 დეკემბერს, ხოლო 1992 წლის 21 მაისიდან კი ამ ორ ქვეყანას შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები. თურქეთი არის საქართველოს ერთადერთი მეზობელი ქვეყანა, ვისთანაც გვაქვს საზღვრები დადგენილი და ამ საზღვრებში აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია თურქეთის პოლიტიკური როლი საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის აგრესიის ფონზე, ,,თურქეთი რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური გავლენის შესუსტების მთავარ ფაქტორად იქცა და საქართველოს დასავლური პოლიტიკური კურსის შუამავლად ჩამოყალიბდა. საქართველოს მსგავსად, თურქეთიც ახალი იდენტობის და ახალი როლის ძიებაში იყო როგორც ახლო აღმოსავლეთში,

[57] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი, გეოპოლიტიკა, ტ.II, თბილისი, 2019, გვ.123

ისე კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში.[58] ამ რეგიონების არასტაბილურობამ, თურქეთს თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი პოზიცია შესძინა და აქტიურ მოთამაშედ ჩამოაყალიბა.[59] ამ კონტექსტში ,,თავისი ისტორიული მნიშვნელობა დაიბრუნა სამხრეთ კავკასიამ და თურქეთისთვის კვლავ უკიდურესად საჭირო გეოპოლიტიკურ რეგიონად იქცა, რომელმაც ქვეყნისთვის ენერგომატარებლების სატრანზიტო დერეფნისა და ცენტრალურ აზიაში პოტენციური პოლიტიკური და სავაჭრო ალიანსების მაკავშირებელი ხიდის ფუნქცია შეითავსა. სამხრეთ კავკასია ასევე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო თურქეთისთვის შავი ზღვის რეგიონში მრავალმხრივი ამბიციების სისრულეში მოსაყვანად“.[60]

ბოლო წლების თურქეთის პოლიტიკაში ცვლილებების მიუხედავად 1990-იანი წლებიდან საქართველოსთვის თურქეთი არის ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონული პარტნიორი და სტრატეგიული მოკავშირე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ 2020 წლის იანვარში დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმის 50-ე ყრილობაზე განაცხადა ,,საქართველოს ვჭირდებით და ჩვენ გვჭირდება ისეთი მოკავშირე, როგორიც საქართველოა“.

საქართველოს და ზოგადად როგორც კავკასიის ისე შავი ზღვის არეალის ქვეყნების უსაფრთხოება დამოკიდებულია არამხოლოდ ამ რეგიონში, არამედ მიმდებარე რეგიონებში მიმდინარე პროცესებზე. ამ მხრივ საკვანძო როლი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე თურქეთს აქვს. თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრინციპია საკუთარი უსაფრთხოების დაცვა. ,,საზოგადოდ, თურქეთის

---

[58] საქართველოს საგარეო პოლიტიკა21-ე საუკუნეში, გამოწვევები პატარა ქვეყნისათვის, კრებული, ჯერმანი ტ. ჯონსი ს. კაკაჩია კ. თავი 5. გიორგი სანიკიძე, საქართველოს ურთიერთობები თურქეთსა და ირანთან, თბილისი, 2023, გვ. 194

[59] Lartabee F.S and Lesser I.O. Turkish Foregign Policy in an Age of Uncertainty, santa monica, CA: RAND,2003

[60] საქართველოს საგარეო პოლიტიკა21-ე საუკუნეში, გამოწვევები პატარა ქვეყნისათვის, კრებული, ჯერმანი ტ. ჯონსი ს. კაკაჩია კ. თავი 5. გიორგი სანიკიძე, საქართველოს ურთიერთობები თურქეთსა და ირანთან, თბილისი, 2023, გვ.195

რესპუბლიკა ატარებს ისეთ საგარეო პოლიტიკას, რომლისთვისაც უცხო არ არის ინიციატივები და ასახავს ,,თურქი ერის შემოქმედებით და ჰუმანურ ხასიათს. ამასთან, თურქეთის რესპუბლიკა რჩება რესპუბლიკის დამფუძნებლის მუსტაფა ქემალ ათათურქის სიტყვების ერთგული, რომ ,,თურქეთის საგარეო პოლიტიკის მიზანია მშვიდობა სახლში და მშვიდობა მსოფლიოში".[61]

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოკვიუმი და ერთი თემატური სემინარი.

სამი კოლოკვიუმი (თითოეული არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი):

1. კოლოკვიუმი I - პანთურქიზმის არსი, იდეოლოგია და მისი გეოპოლიტიკური გავლენა;
2. კოლოკვიუმი II - პანთურქიზმის ლატენტური ეტაპიდან აღორძინების ეტაპამდე, თურქულ-თურანული ნაციონალიზმის ინტელექტუალური საფუძვლები;
3. კოლოკვიუმი III –თანამედროვე პოლიტიკური მოძრაობების გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაზე და მათი იდეოლოგიების არსი.

თემატური სემინარი (ეღვნება დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხს და არ წარმოადგენს სადისერტაციო თემის ნაწილს):

,,ისრაელის როგორც სახელმწიფოს შექმნა ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტების ფონზე"

[61]მარგველაშვილი ზ. თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა და კონფლიქტი სირიაში, ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, თბილისი, თებერვალი, 2020, გვ. 3

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. ,,თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში“ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში,“ კრებული, თამარ დევიძე, მირანდა მიქაძე, მარეხ დევიძე, 2020 წელი;
2. ,,პანთურქული იდეოლოგიის პრინციპები და პერიოდიზაცია“ წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,,დემოკრატია და თანამედროვე საერთაშორისო გამოწვევები“ მასალები, თამარ დევიძე, მარეხ დევიძე, 2022 წელი;
3. ..თურქულ-თურანისტული ნაციონალიზმის იდეოლოგია“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რეფერირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი POLITO/LOGOS, Vol.4, თამარ დევიძე, 2022 წელი;
4. ,,პანთურქიზმის თეორიული ასპექტები და წარმომავლობა“ თსუ ჟურნალი ,,გარემო და საზოგადოება“, N.4, თამარ დევიძე, 08.11. 2022 წელი;
5. ,,პანთურქიზმის აღორძინება და რესპუბლიკური პრინციპების დაცვა თურქეთში,“ The New Ekonomist, vol.18, Issue 2. თამარ დევიძე, მარეხ დევიძე, 21.06.2023;
6. პალესტინა - ისრაელის კონფლიქტი (ისტორიული მიმოხილვა), The New Ekonomist, N 1 (2024), vol.19, Issue 1, თამარ დევიძე, მარეხ დევიძე, 2024-04-04

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები:

1. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში,“ 17 დეკემბერი 2020 წელი, კონფერენციაში მონაწილეობა დადასტურებულია სერტიფიკატით;
2. წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,დემოკრატია და თანამედროვე საერთაშორისო გამოწვევები,“ 17 დეკემბერი 2022

წელი, კონფერენციაში მონაწილეობა დადასტურებულია სერტიფიკატით;

3. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის XI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“, მიძღვნილი პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძის 80 წლის იუბილესადმი, 22-24 ივნისი, 2023 წელი, კონფერენციაში მონაწილეობა დადასტურებულია სერტიფიკატით.

სადოქტორო თემა გამარჯვებული და კვლევა დაფინანსებულია სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2022 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსების კონკურსის ფარგლებში (გრანტის N. PHDF -22 -618).

Caucasus International University

Faculty of Social Sciences and Humanities

Doctoral Educational Program in Political Sciences

Right of Authorship

Tamar Devidze

The impact of Pan-Turkism on the regional security of the South Caucasus Countries

Abstract dissertation Presented for degree of Doctor of Political Science

Tbilisi, 0141, Georgia

2024

Scientific Supervisors:

Vakhtang Maisaia
Doctor of Political Science,
Professor at Caucasus International University

Revaz Jorbenadze

Doctor of Psychology

Iv. Javakhishvili House Professor of Tbilisi State University

Official Reviewers:

Maya Manchkashvili

Doctor of Political Science

St. Andrew the first Associate Professor of Georgian University

Nika Chitadze

Doctor of Geographical Sciences

Caucasus International Associate Professor of the University

The defense of the dissertation will take place on Match 25, 2024, at 15:00 in the Dissertation Council of the Caucasus International University Faculty of Social Sciences and Humanities.

Address: 0141, Tbilisi, Chargali Streen N 73, Caucasus International University, Building I, Room 305.

The dissertation is available in the library of Caucasus International University.

Secretary of the Dissertation Board **Petre Mamradze**, Associate Professor of the Caucasus International University.

Annotation

In the presented work, "The Impact of Pan-Turkism on the Regional Security of the South Caucasus Countries," the emergence and genesis of the ideology of Pan-Turkism is discussed against the background of the social, economic, and political features of the Ottoman Empire, which laid the foundation for the transformation of Pan-Turkism into a leading ideology in the Ottoman Empire.

Initially, the elements of Pan-Turkic ideology appeared in the Tatarstan of the Russian Empire at the end of the 19th century with the national awakening and appeared in the political arena at the beginning of the 20th century to save the Ottoman Empire, which was on the verge of political, social and economic collapse. It was the idea of uniting all the Turkic-speaking peoples of the Caucasus, the Volga-Ural region, the Crimea, the Middle East, and Central Asia under the roof of a great Turkish state.

The theory of ideology was laid by Tatar intellectuals of Volgispireti and Crimea. The founders of Pan-Turkic ideology were the Crimean Tatar educator, politician, and publicist Ismail Gasparli; Siberian Tatar educator Yusuf Akchura; Azerbaijani intellectual and Transcaucasian Sheikh-ul-Islam Ali Husayn-Zade and others. It was in their doctrines that the idea of uniting peoples of Turkish origin into a single Turkish state was presented.

Elements of Pan-Turkism first emerged within linguistic, ethnolinguistic, and racial studies within language, history, and literature. According to adherents of Pan-Turkism, Turkic peoples share certain characteristics, such as related languages, perceived common ancestry, history, and cultural traditions. Around the 1900s, Pan-Turkism emerged as a political movement that sought independence from the Ottoman Empire and aimed at reviving the Turkic peoples.

Pan-Turkism was the only one of the ideologies that flourished in the last years of the Ottoman Empire that was given a historic chance during the First

World War, when the "Young Turks", who determined the fortunes of the empire, adopted it as a guiding principle for state policy. Pan-Turkism was able to completely replace well-established state ideologies and worldviews, it simply overshadowed alternative theories and established guidelines for policy-making. Nevertheless, he was powerless to stop the collapse of the Ottoman Empire, although Turkish nationalism in the preserved territories of the empire contributed to the creation of a new Turkish state, taking on a completely new form, radically different from the nationalism that arose during the Ottoman Empire. This new concept of nationalism together with the Turkish identity gave rise to the new Turkish state, completely freed from the features and functions of the imperial period.

The work consists of three chapters, ten sub-chapters, a bibliography, and an appendix.

In the ffiirst chapter, the origin and development of Pan-Turkic ideology, theoretical aspects of the ideology, the role of "overseas Turks" in its genesis, and its transformation into the leading ideology of the empire are discussed.

,,Ideology is not only a system of certain views or values that affects the consciousness of both the individual and the society as a whole. Ideology is also a way of life that sets certain norms or ideas for a specific individual, society, or state about what the social and political order in which we want to live should be. In this sense, political ideologies have historically played an important role in the formation of the individual's consciousness, which was ultimately reflected in the formation of different types of societies and states at different stages of the historical development of humanity." The transition took place in the new republic. Elements of pan-Turkism were transferred to a new ideology, which was the nationalism devised by Mustafa Kemal. It naturally acquired a different orientation, it became the doctrine of the new republic, but within a certain framework, this framework was the principles characteristic of the republican

state. These principles were the framework of all the currents that existed in Turkey.

The second chapter presents the fall and rise of Pan-Turkic ideology under the conditions of Republican Turkey, and the historical and political foundations of Turkish-Turanian nationalism. We discussed the formation of Turkish-Turanian national groups in the background of the peculiarities of the world political and social life of the 30s of the 20th centuries, which was influenced to a certain extent by the international conjuncture between the wars. We studied the concept of Turko-Turanian nationalism, which rejects the ideology of official, Kemalist nationalism. This concept of nationalism considered origin-based nationalism as the main criterion for solving the problem, which implies ethnically Turkish origin, and Turkish race, they believe that defining "Turkishness" by the constitution and limiting their origin only to the Anatolian region is completely unacceptable, they believe that the main thing is Turkish race and origin and that it can be determined based on Turkey's pre-Islamic history, post-Islamic Seljuk and Ottoman Empire periods. These approaches became the basis of confrontation with official Kemalist nationalism.

The years of the Second World War are the era of revival of Pan-Turkism. He was greatly influenced and even came under the influence of two ideologies, Italian Fascism on the one hand and German Nazism on the other hand, whose views were more similar to the elements of the ideology. We distinguished Turkish-Turanian nationalism and Turkism of the Ottoman Empire from each other. We discussed what significant changes the Turkish-Turanian ideology of nationalism made in the political and social life of Turkey.

In the third chapter, we studied the revolution of the "Young Turks" and the policy of the Ottoman Empire during the years of the First World War. We focused on the Caucasian policy of the "Young Turks" and their interests in relation to the countries of the South Caucasus; We also talk about the fall of the Ottoman Empire and its remnants, the creation of a new Turkish state, relations

with Nazi Germany and other states participating in the Second World War, the political role of post-war Turkey in strengthening the countries of the Western bloc during the Cold War and its aftermath.

In the last subsection of the paper, we discussed the main directions of the neo-Ottoman ideology of modern Turkey and the pan-Turkic foundations of their regional hegemony, the perspectives of the possible implementation of pan-Turkic political ideas in modern Turkey.

At the end of the paper, we presented the in-depth interviews conducted with experts and their analysis, we confirmed hypothesis (H1), the hypothesis (H2) was not confirmed since there is no evidence of the strengthening of pan-Turkic ideology in both the domestic and foreign policies of modern Turkey, pan-Turkism is not a political feature of modern Turkey. It is the ideology that defines the agenda, and therefore it does not pose a threat to the countries of the South Caucasus. We formulated the answers to the research questions and presented the research results.